# საერთო გაზეთი

№9 (601) • 17 მარტი, 2021წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.50 ლარი

## მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის
## ქართველი ხალხისთვის ღია და საჯარო უნდა გახდეს





## ჭაობში დაგეგმილი ავანტიურა ივანიშვილების წინააღმდეგ

## ვინ არიან ესენი – ქართველი ჟურნალისტები, თუ ქვეყნის ასაოხრებლად მტრის მიერ გადმოსხმული იდეოლოგიური დესანტი?

### ვახტანგ ხარჩილავა:



პოლიტიკური „შნირები“ და ოპოზიციად წოდებული „ზონის“ „მაყურებელი“ კიევიდან

### კობა არაბული:



არ ჩააშტერდე სახეში მიცვალებულს

მით უფრო, მიცვალებულები არ შემოდო სახურავზე!

### შოთა გლურჯიძე:



„შარლ მიშელი თუ გვიშველის, შარლს დავარქვათ შარლ მიშველი“

## ვინ ემუქრება ლევან მამალაძეს და მის ოჯახს ლიკვიდაციით სააკაშვილ–ადეიშვილის ფარული ჩანაწერის გახმაურების გამო?

### გელა ზედელაშვილი:



დიდი საროსკიპო

ყოფილმა პარლამენტარმა მერაბ კაჭახიძემ ასეთი რამ დაწერა: „თუ გაბოზდები, ისე უნდა გაბოზდე, როგორც ჩვენი ჟურნალისტიკა“.

### მეგან მარკლი:



„ბუკინგემის სასახლეში სუნთქვაც კი მიჭირდა...“

„...ჩვენი ოჯახი სულაც არ არის რასისტული“...

### ილონ მასკი



ილონ მასკი - მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი გახდა, მისმა ქონებამ 185 მლრდ დოლარს გადააჭარბა.

## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ქართველი ხალხისთვის ღია და საჯარო უნდა გახდეს

„ჩვენ მოწოდებული ვართ, ვიპოვოთ გამოსავალი, მაგრამ ეს არ მოხდება სახელმწიფო ინტერესების ხარჯზე“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბრიუსელში, შარლ მიშელთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე.

ეს განცხადება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ გასაიდუმლოებულ და დახურულ შეხვედრაზე ოპოზიციის მხრიდან რაღაც ისეთი მოთხოვნები ჟღერდება, რომლებიც ქართული სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო და საზიანოა.

რა მოთხოვნები შეიძლება იყოს ეს, რომელთა გასაჯაროებას ასე კატეგორიულად გვიკრძალავენ?

საერთოდ, რატომ უნდა მიმდინარეობდეს ეს მოლაპარაკებები დახურულ ფორმატში და რატომ არ უნდა იცოდეს ქართველმა ხალხმა, ვინ რას ლაპარაკობს ამ შეხვედრებზე?

მხოლოდ პოლიტიკური პარტიების ვიწრო პარტიული ინტერესები ხომ არ წყდება ამ დებატებში — როგორც თავად პოლიტიკოსები ამბობენ, საქართველოს ბედი წყდება, ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში, ევროკავშირში შესვლის ბედი წყდება, ქართველი ხალხის ბედი წყდება!

კი, მაგრამ, რატომ წყდება ქართველი ხალხის ბედი ქართველი ხალხის გარეშე, მის დაუკითხავად, მისგან მალულად?

სხვა საკითხებთან დაკავშირებით, შეიძლება, რაღაც პრეტენზიები გვქონდეს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ აბსოლუტური უსამართლობა და არაობიექტურობა იქნებოდა, მას რაიმე დავაბრალოთ და ვუსაყვედუროთ 31 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების გამო.

— ერთპარტიული პარლამენტი მივიღეთ, ქვეყანა ჩრდილო კორეას დაემსგავსა, დემოკრატია საფრთხეშია! — უკიჟინებენ „ქართულ ოცნებას“ ისინი, რომლებმაც ეს რეალობა შექმნეს.

რა ერთპარტიული პარლამენტი, როცა სახელისუფლო პარტიის გარდა რვა ოპოზიციურმა პარტიამ გადალახა ბარიერი?

ბნელა? სამართალი აღარ არსებობს? უტიფრობას და დემოგოგიას საზღვარი არ აქვს?

„ქართული ოცნების“ რა ბრალია, თუ ეს ბარიერგადალახული პარტიები, მოგონილი, თითიდან გამოწოვილი, უსაფუძვლო მიზეზებით, ბოიკოტს აცხადებენ და პარლამენტში არ შედიან?

ჩიხში ვართ, კრიზისია და მთავარი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრებაო, — წამდაუწუმ ისმის ამ შინაარსის განცხადებები.

მთავარი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება და იმ ოპოზიციას არა, რომელმაც ეს კრიზისული სიტუაცია შექმნა და ქვეყანა ჩიხში შეიყვანა?

ოპოზიციაო, კი ვამბობთ, მაგრამ რამდენად შეიძლება ოპოზიცია ვუწოდოთ იმ ძალებს, რომლებიც იმ მოალყეებს ჰგვანან, რომლებსაც ციხე-სიმაგრისთვის ალყა აქვთ შემორტყმული და ციხე-სიმაგრეში მყოფებს მუქარას მუქარაზე უგზავნიან: — თუ ჩვენს მოთხოვნებს არ შეასრულებთ და თუ არ დაგვნებდებით, ციხე-სიმაგრეს ავაფეთქებთო.

ამ ციხე-სიმაგრეს — ქართულ სახელმწიფოს, მრავალი დამპყრობლისთვის გაუძლია და ცრუქაქუნა შინაური დამპყრობლების მორიგ შემოტევასაც გაუძლებს, ამ შინაურ მოძალადეებს გარედან თუ არ გამოუჩნდნენ მოკავშირეები და ზურგის გამმაგრებლები.

ეს რომ არ მოხდეს, ამიტომაც ეს დროში გაწელილი და გაჭიმული მოლაპარაკებები აუცილებლად საჯარო და ღია უნდა გახდეს და ქართველი ხალხის კონტროლს უნდა დაექვემდებაროს.

აქვე გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და სრული ნდობა და მხარდაჭერა გამოვუცხადოთ საქართველოს ხელისუფლებას, განსაკუთრებით, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელსაც ამ რთულ და უკიდურესად სახიფათო სიტუაციაში ურთულესი მისია დაეკისრა.

გვწამს და გვჯერა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი, რომელსაც არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ ნამდვილი პატრიოტია, არც ამჯერად წავა ისეთ კომპრომისზე, რომელიც ქართული სახელმწიფოსთვის საზიანო იქნება.

„საერთო გაზეთი“

# პოლიტიკური „შნირები“ და ოპოზიციად წოდებული „ზონის“ „მაყურებელი“ კიევიდან

**ვახტანგ ხარჩილავა:**

ეს ძველ, ბნელ დროში იყო, ადამიანებს ერთმანეთზე იძულების წესით რომ აქორწინებდნენ და ეს იყო სისასტიკე და ძალადობა, მაგრამ, როცა იგივე ხდება ახლაც, ამ ნათელ, დემოკრატიით გაჩახჩახებულ და გადაბრდღვიალებულ დროში, ამას რატომღაც ძალადობა და სისასტიკე კი არა, ლამაზი და კეთილი სიტყვა კოაბიტაცია ჰქვია.

ცხრა წელია ვაპროტესტებთ, ვყვირით, ვიხვეწებით, ვიმუდარებით: — არ გვინდა, ბატონო, ამათთან ცხოვრება — გვკლავდნენ, გვაწამებდნენ. გვცემდნენ, გვაუპატიურებდნენ და ამათთან ერთად ერთ ჭერქვეშ როგორ გავძლოთო, მაგრამ არავის ესმის ჩვენი ხვეწნა-მუდარა — დაჯექით, შეთანხმდით, მოილაპარაკეთ, მოითათბირეთ, იდიალოგეთ, ხომ იცით, დიალოგს ალტერნატივა არ აქვსო.

2012-შიც ასე იყო — ჯერ დაჯექით, დაჯექითო, — გვეუბნებოდნენ, მერე — დაწექით, დაწექით-ზე გადავიდნენ. ჩვენც დავწექით და ასე იშვა ამ იძულებითი ქორწინების ნაყოფი — მონსტრი, ურჩხული, რომელსაც ბულემია ჭირს — ჭამს, ჭამს და ვერ ძღება, კოაბიტაციური თესლით შეკოწიწებულ-შეთითხნილი ურჩხული მოღონიერდა, მომძლავრდა და მუქარაზე გადმოვიდა — თუ კვლავ ხელისუფლებაში არ დამაბრუნებთ და მთელ ქვეყანას არ შემაჭმევინებთ, ყველაფერს მივლეწ-მოვლეწავო.

— სასწრაფოდ მოლაპარაკების მაგიდას მიუსხედით, სასწრაფოდ დიალოგი, თორემ სხვა გამოსავალი არ არის — კრიზისში ვართ, ჩიხში ვართ, ხომ ხედავთ. ჰა, თქვენ ექვსპუნქტიანი კონსპექტი, კარგად შეისწავლეთ, კარგად აწონ-დაწონეთ, მერე დაჯექით, ერთმანეთში შეთანხმდით და 16-ში ბრიუსელში მომახსენეთ, რაზე შეთანხმდითო, — გვეუბნებიან ჩვენი დასავლეთელი შუამავლები.

ერთხელ ხომ უკვე დაგვაქორწინეს ამ მოძალადეებზე, ახლა, როგორც ჩანს, მეორედ უნდა დაგვწერონ ჯვარი იმავე მოძალადეებზე და იმავე ციხეში უნდა შეგვაგდონ, რომელსაც კოაბიტაცია ჰქვია და საიდანაც გათავისუფლება ვერა და ვერ გვეღირსა.

●

2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სხვებთან ერთად მეც ბევრჯერ დამცდენია საყვედური „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მისამართით, რომ სათანადო სიმკაცრით და სათანადო მასშტაბებით ვერ ხდებოდა „ნაციონალი“ კრიმინალების და დამნაშავეების დასჯა, თუმცა, რასაც ამ ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ვუყურებ, უკვე ის მაოცებს, როგორ მოახერხა თუნდაც იმის გაკეთება, რაც ამ ხელისუფლებამ გააკეთა სამართლიანობის აღდგენის კუთხით.

როგორ ვუსაყვედურო ხელისუფლებას, რომელსაც მუდმივი წნეხის ქვეშ უწევს გადაწყვეტილებების მიღება და როცა რომელიმე გადაწყვეტილება, თუნდაც სამართლიანი და აბსოლუტურად კანონიერი, მავანს და მავანს რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო არ მოსწონს, იწყება მასირებული ფსიქოლოგიური შტურმი — სანქციებს დაგიწესებთ, ნატოს ღია კარებს მოგიხურავთ, ევროკავშირში ფეხს არ შეგადგმევინებთო.

ასე იყო ამასწინათაც — პარლამენტზე იერიშის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი მელია დაიჭირეს და წარმოუდგენელი ხმაური ატყდა — მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაჭერა როგორ გაბედეთო?

ოპოზიციური პარტიის ლიდერობა პარლამენტში შეჭრის და სახელმწიფო გადატრიალების პრივილეგიას იძლევა თუ რაშია საქმე?

გაუკვირდათ, ძალიან გაუკვირდათ ჩვენს მეგობრებს ეს ამბავი, თუმცა სულაც არ გაკვირვებიათ ის, რომ ქართული სასამართლოს მიერ რამდენიმე დანაშაულში დამნაშავედ შერაცხული და მსჯავრდებული სააკაშვილი ციხის ნაცვლად კიევში რომ ზის მორჭმით და ეს მსჯავრდებული კაცი იქიდან რომ მართავს პოლიტიკურ პროცესებს და ამას აკეთებს ღიად, დაუფარავად, ხაზგასმული უტიფრობით და ურცხვობით, აკეთებს მსოფლიოს დამოკრატიული თანამეგობრობის თვალწინ, ევროკავშირის, აშშ-ის კონგრესის თვალწინ და ისინიც თითქოს ვერაფერს ხედავენ, ვერაფერს ამჩნევენ.

ბევრჯერ ნათქვამს კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ჩვენს მეგობრებს დასავლეთიდან, არც ფასილიტატორ ელჩებს, არც ევროკავშირის წარმომადგენლებს, არც ამერიკელ კონგრესმენებს, არავის არცერთი სიტყვა არ დასცდენია სააკაშვილის მისამართით და არავის არ უთქვამს, რომ საქართველოში მიმდინარე არაჯანსაღი პროცესების უკან სააკაშვილი დგას და სწორედ ის ცდილობს ქაოსის და დესტაბილიზაციის პროვოცირებას ქვეყანაში, რომ ამ არეულობის ფონზე ხელისუფლებაში დაბრუნება მოახერხოს.

დიახ, სიმართლის დადგენა, პოლიტიკურ კრიზისამდე მისული სიტუაციის გამომწვევი ნამდვილი მიზეზების ობიექტური გამოძიება და აქედან სწორი დასკვნების გამოტანა ჩვენს დასავლეთელ პარტნიორებს ჯერჯერობით არ უცდიათ, რაც, ცხადია, საქართველოს მოსახლეობაში პროტესტს, უკმაყოფილებას და უსამართლობის განცდას იწვევს.

როგორ შეიძლება სამართლიანი მედიაცია გასწიო, როცა სიღრმისეუ-



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.









ლად არ გაქვს შესწავლილი და არც ცდილობ შეისწავლო იმ პრობლემის ძირი და სათავე, რაზეც დაპირისპირებული მხარეები დაობენ?

– არჩევნები გაყალბდა! ბოიკოტი პარლამენტს! – თქვა სააკაშვილმა და დანარჩენმა ბარიერგადალახულმა პარტიებმაც სააკაშვილის ეს „დასკვნა" დროშასავით აიტაცეს, თუმცა ყველა კომპეტენტურმა ორგანომ, რომელსაც არჩევნებზე დაკვირვება და მისი მონიტორინგი ევალება და რომელსაც დასავლეთი ენდობა, ერთხმად განაცხადეს და დოკუმენტურად დაადასტურეს, რომ არჩევნებმა კონკურენტუნარიან, მშვიდობიან გარემოში ჩაიარა და იმ დარღვევებს თუ შეცდომებს, რომლებიც არჩევნებზე დაფიქსირდა, არჩევნების შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია.

ასეთია დასავლეთის დასკვნა და ამ დასკვნას თვითონ დასავლეთი აყენებს ეჭვქვეშ, რადგან სააკაშვილმა ასე ინება?

დასავლეთი დასავლეთის წინააღმდეგ არ მიდის, როცა განსახილველ საკითხთა ნუსხაში შეაქვს რიგგარეშე არჩევნების ჩატარების დასაშვებობა?

რა აზრი აქვს ამ რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას, თუ სააკაშვილი ისევ იტყვის, რომ არჩევნები ამჯერადაც გაყალბდა და ასე გაგრძელდება მანამდე, სანამ „ნაცმოძრაობას" უმრავლესობით არ გაამარჯვებინებენ, ანუ თუ არჩევნებს მართლაც არ გააყალბებენ, რადგან ქართველი ხალხი „ნაცმოძრაობას" და სააკაშვილს ნამდვილად არ მისცემს იმდენ მანდატს, რომ ეს ბოროტი ძალა კვლავ ხელისუფლების სათავეში მოვიდეს.

ხომ არ გეჩვენებათ, რომ ძალიან გავაუბრალოვეთ, ძალიან გავამარტივეთ და გავაპრიმიტიულეთ საკითხი, რომლის გადასაწყვეტად ამდენი დრო და ენერგია იხარჯება უკვე ოთხი თვეა და რომელშიც ამდენი მძიმეწონიანი პოლიტიკური პერსონა მონაწილეობს ევროპიდან, აშშ-დან და ა. შ.

ვფიქრობ, ხელოვნურად არაფერი გაგვიმარტივებია და გაგვიუბრალოებია, რადგან რებუსად და თავსატეხად ქცეული ეს თემა სინამდვილეში მართლაც მარტივი და უბრალოა – რევანშიზმის დაუოკებელი ჟინით შეპყრობილ სააკაშვილს, მსჯავრდებულს, პატიმრობამისჯილს, უამრავ უმძიმეს დანაშაულში ეჭვმიტანილს, ხელისუფლებაში დაბრუნება სურს და ყველაფერზე მიდის, რომ ეს სურვილი შეისრულოს, მაგრამ ჩვენი უცხოელი მეგობრები, ფასილიტატორები და მედიატორები, ვერა და ვერ ამბობენ ერთ, ერთადერთ, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე წინადადებას: თქვენ, პატივცემულო, ხელისუფლებაში კი არ უნდა იყოთ, ციხეში უნდა იჯდეთ!

ქალბატონი კელი დეგნანი, ბატონები შარლ მიშელი, კარლ ჰარცელი, ქრისტიან დენილსონი ჩვენ კი არ უნდა გვიკითხავდნენ ლექციებს დემოკრატიის შესახებ, უკრაინის ხელისუფლებას უნდა მიმართავდნენ კითხვით: როგორ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თქვენს მეგობარ და პარტნიორ სახელმწიფოში, საქართველოში, მსჯავრდებული კაცი, რომელსაც რამდენიმე წლის პატიმრობა აქვს მისჯილი, ხელისუფლებში გიზით და ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა თქვენი მეგობარი სახელმწიფოს, საქართველოს, წინააღმდეგ? და თუ იცით, რა ზომებს იღებთ ამ უმსგავსობის აღსაკვეთად?

თქვა ეს ვინმემ?

თუნდაც გადაკვრით, მინიშნებით, დიპლომატიურ ენაზე ვინმემ უსაყვედურა უკრაინის ხელისუფლებას თუ რატომ იქცა უკრაინა საქართველოდან გაქცეული საეჭვო პერსონების



და კრიმინალების თავშესაფრად?

საქართველოს რომ გაეკეთებინა მსგავსი რამ, ალბათ, ანათემას გადაგვცემდნენ და რუსეთის ნომერ პირველ მოკავშირედ გამოგვაცხადებდნენ, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ უკრაინას ზურგში ლახვარს სცემს და ჩუმ-ჩუმად სამარეს უთხრის, თუმცა, როცა ჩვენ გვიკეთებენ იგივეს, ჩვენ თურმე ხმაც არ უნდა ამოვიღოთ და მორჩილად უნდა ჩავწვეთ მეგობრების მიერ მეგობრულად გათხრილ სამარეში.

– რა ძალები მფარველობენ სააკაშვილს და რატომ? – ამ საიდუმლოს ექსპერტთა და ანალიტიკოსთა ნაწილი იმით ხსნის, რომ დასავლეთი სააკაშვილს რუსეთის წინააღმდეგ უშიშარ და უკომპრომისო მებრძოლად თვლის და მას, როგორც მოკავშირეს, უფრთხილდება და მფარველობს, რომ საჭირო დროს გამოიყენოს.

თუ ეს მართლაც ასეა, ან დიდი შეცდომაა ეს, ან დიდი ღალატი ცალკეული პოლიტიკური წრეების მხრიდან.

ერთია, რას ამბობს და რას ლაპარაკობს სააკაშვილი ხმამაღლა, მაგრამ იმ საქმეების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც მას გაუკეთებია, ეჭვს არ იწვევს, რომ სააკაშვილი რუსული პროექტია.

ათასჯერ ნათქვამს ათასმეერთედ ხომ არ გავიმეორებთ და თუნდაც რომ გავიმეოროთ, რა აზრი აქვს, ჩვენი ნათქვამისა თქვენ მაინც არ გჯერათ, ამიტომ, მოდით, თქვენ თვითონ ჩაატარეთ საქართველოს „ინვენტარიზაცია" 2004 წლიდან 2012 წლამდე და იმდენ დანაკლისს აღმოაჩენთ, გაოცდებით.

ცოტა კიდევ თუ შეიწუხებთ თავს და იმასაც თუ შეისწავლით, სად წავიდა ეს დანაკლისი, აღმოაჩენთ, რომ ყველაფერი რუსეთის ჟულაბაშია ჩაჩხრიალებული, დაწყებული საქართველოს ტერიტორიის 20%-ით და დამთავრებული სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებით.

ღმერთმა ნუ ქნას და სააკაშვილი ისევ რომ მობრუნდეს ხელისუფლებაში, იგივეს გააკეთებს, რაც გააკეთა 2008 წელს და ეს ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ რუსეთი არამარტო საქართველოს ტერიტორიის 20%-ზე, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაამყარებს კონტროლს.

რუსეთს საქართველოს ხელისუფლების სათავეში პროვოკატორი და ავანტურისტი სჭირდება, რომელიც საქართველოს ხელყუმბარასავით დაუფიქრებლად შეუგდებს რუსული ტანკის მუხლუხოებს. ტანკს ამით არაფერი დაემართება, ხელყუმბარა კი ყინულივით დაიფშვნება.

აი, ამის გამკეთებელია სააკაშვილი, რადგან მას არ უყვარს საქართველო და ქართველი ხალხი, განსაკუთრებით არ უყვარს 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ, როცა მისი თანამეცხედრის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ „ველურმა", „კეპკიანმა" ქართველებმა, ამ „დედამოტ..ულმა", ავადმყოფმა ერმა" (ეს უკვე ბიძამისის, თემურ ალასანიას სიტყვებია) ზურგი შეაქცია და ეს აღმაშენებლის სადარი კაცი იძულებული გახადეს, ქვეყნიდან გაქცეულიყო.

მას არ უყვარს საქართველო, რადგან იცის, არც საქართველოს უყვარს ის, თუმცა უცხოელებს ატყუებს და ირწმუნება, რომ მოსახლეობის 70%-ს მასზე ამოსდის მზე და მთვარე და დღე და ღამ იმის ნატვრაში არიან, როდის დაბრუნდება ეს ქვეყნის მხსნელი სამშობლოში.

●

ამ წერილს რომ ვწერ, ბატონი კრისტიან დანიელსონი საქართველოში იმყოფება და ბატონ კარლ ჰარცელთან ერთად ოპოზიციას და „ქართულ ოცნებას" შორის შეთანხმების მიღწევას ცდილობს იმ ექვსი პუნქტის გარშემო, რომელიც ევროსაბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა მხარეებს ურთიერთობის მოგვარების სამოქმედო გეგმად დაუტოვა.

ამ ექვს პუნქტში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რაზეც ამ წერილში ვილაპარაკეთ და რაც, ჩვენი აზრით, უმთავრესია, რადგან სწორედ იქიდან იღებს სათავეს ყველა ის პრობლემა, რომელთა ერთობლიობამ ქვეყანა ჩიხში შეიყვანა.

ამ ექვს პუნქტში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ მთავარ ოპოზიციურ პარტიას ჰყავს არაფორმალური ხელმძღვანელი, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მსჯავრდებული პირი, რომელსაც ემორჩილება არამარტო „ნაცმოძრაობა", არამედ თითქმის ყველა ბარიერგადალახული პარტია.

აი, ეს მსჯავრდებული პირი ზის „ქურდად" ოპოზიციაში, ის ალაგებს „პალაჟენიას" ოპოზიციურ „ზონაში", ის არის ამ „ზონის" მთავარი „მაყურებელი", ხოლო ისინი, ვინც მოლაპარაკების მაგიდას უსხედან, მისი პოლიტიკური „შნირები" არიან.

რა მნიშვნელობა აქვს, რა შეთანხმებას მიაღწევს „ქართული ოცნება" ამ პოლიტიკურ „შნირებთან", როცა გადაწყვეტილების მიმღები სულ სხვაა, რომელსაც არც შეთანხმება აინტერესებს, არც რიგგარეშე არჩევნები, არც კრიზისული სიტუაციის განმუხტვა, არც მშვიდობა და სტაბილურობა.

მას ერთადერთი მიზანი აქვს – ქაოსის, არეულობის, დაპირისპირების პროვოცირება და ესკალაცია და ამ ფონზე ძალაუფლების ხელში ჩაგდება ნებისმიერ ფასად.

რაც სააკაშვილს სურს, იგივე სურს რუსეთსაც და, აქედან გამომდინარე, ისინი მოკავშირეები არიან და მთელი ამ დავიდარაბის უკან, რაც დღეს საქართველოში ხდება, სინამდვილეში რუსეთი დგას, რომელმაც კავკასიის რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური თამაშები წამოიწყო.

რაც სააკაშვილს სურს, იგივე სურს რუსეთსო, კი ვთქვით, მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ ამ ნათქვამს ასე ჩამოვაყალიბებთ: სააკაშვილს ძალაუფლება სურს, რუსეთს – საქართველო.

სააკაშვილიო რომ ვამბობთ, მხოლოდ ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ პერსონას სულაც არ ვგულისხმობთ.

სინამდვილეში, სააკაშვილი კრებითი სახელია, რომელიც თავის თავში ბევრ ინტერესს, ბევრ მხარეს, ბევრ სხვადასხვა პოლიტიკურ თუ ბიზნესჯგუფებს აერთიანებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

სააკაშვილის დროს საქართველო დიდი საერთაშორისო ბანდების სათარეშო ადგილად იქცა, საიდანაც მილიონებს მიეზიდებოდნენ ჩვენი მტრებიც და ჩვენი მეგობრებიც.

ცხადია, მათ ძველი, ნეტარი დროს დაბრუნება ძალიან უნდათ, მაგრამ ეს დრო რომ დაბრუნდეს, ჯერ თავიანთი ბროკერები, თავიანთი ფინანსური აგენტები უნდა დააბრუნონ, საქართველოს ხელისუფლება რომ ერქვა და, სინამდვილეში, მათი ხარკისა და ღალის ამკრეფი საგადასახადო ინსპექცია რომ იყო.

●

სიმართლე გითხრათ, ნაკლებად მაინტერესებს, რითი დამთავრდება ხელისუფლებისა და ოპოზიციის შერიგება-შეთანხმების მორიგი მცდელობა და შეთანხმების რა პაკეტს ჩაიტანს ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში.

ცხადია, რაღაც შეთანხმებას მიაღწევენ, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ დროებითი ზავი და არა მდგომარეობის ნორმალიზების მყარი გარანტი.

ნაკლებად მაინტერესებს, რითი დამთავრდება მოლაპარაკებათა ეს რაუნდი-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ ვიცი, არც ამ მოლაპარაკების დამთავრებით დამთავრდება რაიმე...

პირადად ჩემთვის დროში გაჭიმული ეს მოლაპარაკებები იმით უფროა მნიშვნელოვანი და საყურადღებო, რომ ის გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა დარჩა ჩვენი დამოუკიდებლობიდან და სუვერენიტეტიდან, რომელსაც 30 წელია პატარ-პატარა ულუფებად გვაჭრიან და გვართმევენ.

დაბოლოს, ამ პროცესების დაკვირვება კიდევ უფრო მიძლიერებს ეჭვს, რომ კოაბიტაციის ახალი, მეორე და გადამწყვეტი ეტაპი დაიწყო, რაც შეიძლება საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის დიდ ტრაგედიად იქცეს.

საქმე ის არის, რომ სულაც არ არის კოაბიტაცია ის, რასაც საქართველოში კოაბიტაციას ეძახიან.

კოაბიტაცია კი არა, ეს არის იძულებითი თანაცხოვრება დამნაშავე ელემენტებთან, ფაქტობრივად, კრიმინალებთან, რაც დროთა განმავლობაში აუცილებლად მთავრდება პოლიტიკური სპექტრის სრული კრიმინალიზაციით და მორალური გახრწნით.

აქეთკენ გვიბიძგებთ და აქეთკენ მიგვერეკებით თქვენ, ძვირფასო მეგობრებო დასავლეთიდან?!

# არ ჩააშტერდე სახეში მიცვალებულს

## მით უფრო, მიცვალებულები არ შემოდო სახურავზე!



**კობა არაბული:**

თავიდანვე ვიტყვი: როდესაც სახელმწიფოში ვართ და იქ ვცხოვრობთ, ყველა მოვლენა ჩვენ გვეხება — პოზიტიური თუ ნეგატიური, ისევე, როგორც ჰაერი ჩვენ არ შეგვიძლია მისი არიდება, თუნდაც განზე გადგომა, ვინაიდან ირიბად მაინც რჩები მოვლენათა ველში „პროცესების“ მონაწილე.

ამ ვითარებაში ისმის კითხვა: ვინა ვართ ჩვენ, რისი დაცვა შეგვიძლია და რითი, ან რა არ უნდა დავიცვათ და რატომ?!

რა მოვალეობა აკისრია „ერში“ მყოფ ადამიანს, ანუ: „არც კაცივარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“! — ეს მართლა ასეა? როცა შენს ქვეყანაში ხარ და შენს სამშობლოში ცხოვრობ, უნდა იზრუნო თუ არა მასზე?

ათენის მოქალაქე სოკრატე ბერძნულ სამართალს (და არა ოდენ ბერძნულს) უყრიდა საფუძველს.

„— გვიპასუხე, სოკრატე, რა არის სამართალი?“ — ეკითხებოდნენ მას ჯერ კიდევ ველური, წარმართული თავისუფლების სამყაროში და როდესაც მას სიკვდილი მიუსაჯეს, არ განერიდა ამ სასჯელს: მე რომ გავერიდო, ათენი სამართალს ვერ აღასრულებს. ათენი მშობელზე მეტია ჩემთვის და მისი განაჩენი უნდა აღსრულდესო.

სოკრატემ იცოდა, რომ სახელმწიფო სამართლის გარეშე ვერ იარსებებდა. ჩვენი ნაციონალი „ხუნვეიბინები“ კი განუკითხავად, ველურად არღვევენ სამართალს ყოველდღე და ყოველ წუთს და მათ არავინ სჯის, სახელმწიფოს სამართლის აღსრულების ნებასართმევენ და ამით აცლიან დამცავ გარსს, ანუ ტოვებენ „იარაღაყრილს“. ჩვენი პოლიტიკური „ანკლავები“ ჯოგურად თელავენ 9 აპრილის წმინდა მემორიალს, მთლიანად ანადგურებენ ერის მორალს და დაუსჯელი რჩებიან.

ჯალათები მენტორებად იქცნენ! — ასე სახელმწიფო ვერ აშენდება...

და თუ სახელმწიფო გვინდა, რა სახელმწიფო გვინდა და როგორ ვაშენებთ მას?

რა მოდელი და კონცეფცია



გვაქვს ერთიანი სახელმწიფოს შექმნისთვის, მისი ეთნოკულტურული, ეკონომიკური და სამხედრო დაცვისთვის?

რა ტიპის არმია გვინდა — ღია თუ დახურული; გვჭირდება თუ არა პარტიზანული ლაშქარი ანდა ერის უშიშროების დაცვის საიდუმლო სარანგთა რაზმები ყოველი კუთხისა და მისი ისტორიული საზღვრის უშიშროებისთვის, ისევე, როგროც ქუჯი-ფარნავაზის დროს იყო; ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსანშია“ — მენაპირე თემის მესაზღვრე სარანგი ჩამოდის ავთანდილთან; ისევე, როგორც დავით აღმაშენებლის დროს იყო...

ეს ერთი თემაა.

მეორე და არსებითი თემაა — ვინ მართავს სახელმწიფოს? ერთი თავი, რამდენიმე თავი თუ ყველა ერთად? თუ ქვეყანას სირაქლემას კომპლექსი ჭირს და ყველას თავი ჩარგული აქვს ქვიშაში და ვისმენთ მიწის სიჩუმეს და არ გვესმის კოსმოსის, სამყაროს, ოკეანეთა მოქცევის ხმა...

და მესამე და მთავარი: ვინ იცავს ერის ზნეობრივ სივრცეს, მის სულიერი და რელიგიური (რწმენის) სიმყარეს და მთლიანობას?

ეკლესია თუ ხელისუფლება და სახელმწიფო, თუ ორივე ერთად?

თუ ერი (საზოგადოება), ეკლესია და ხელისუფლება — სამივე ერთად?

ვინ იცავს ჩვენთან ამ საკრალურ „უნიტარულ“ სივრცეს? არა-



ვინ თუ ვერავინ? სად არის მისი დაცვის და დაუცველობის „ძაღლის თავი“ დამარხული?

აქვე სენტენციასავით მინდა ვთქვა: სახელმწიფო დიდ სირაქლემად არ უნდა იქცეს, რომელიც არაფერს ისმენს და არაფერს პასუხობს.

მაგალითისთვის ვიტყვი:

შესაძლოა, მელიაზე თქმულიყო: გაუშვით, შეეშვით, გიჟი თავისუფალია, რაც უნდა, ქნას, მივხედოთ მთავარს — სხვა საქმეს. მაგრამ თუ ერთ მელიას მეორე მელიაც მიემატა, მეორეს მესამე და აივსო ეს სახელმწიფო დაუსჯელი მელიებით და დაუსჯელობის სინდრომით, მერე რას შვრებით?!

სულხან-საბას ყველა იგავარაკი ერთიანად გაგვიცხადდება და სახელმწიფო დაკარგავს ფორმას, აზრს, სადაც ცხვარი მგელს შეჭამს და ვირი — ვირის პატრონს, სწორედ ეს იქნება სირაქლემების სინდრომით სნეული ქვეყნის ბედისწერა.

●

ვერც ბევრი თავი მართავს, ერთდროულად, სახელმწიფოს და ვერც ერთი იდიოტი ტირანის თავი — სახელმწიფოს გენიოსის თავი სჭირდება: ინტელექტუალი, ძლიერი, მიმტევებელი, მაგრამ მკაცრი, შიშით სიყვარულის შემქმნელი, ვითარცა რუსთაველი იტყვის...

თუ უკანონო სახელმწიფოში ცხოვრებას შეეჩვევი (და შეგაჩვიეს) ყველაფერი თავზე დაგემხობა.

●

კანონები და სამართალი, მორალი, კაცობრიობამ მოიფიქრა ადამიანის გაჩენის დღიდან მისი ველური ბუნებისა და გამოხატვის აღვირახსნილი თავისუფლების სამართავად. თავისუფლება მორალის გარეშე ხომ იგივე ცხოველის თავისუფლებაა, ანუ ძაღლის თავისუფლება: ყეფს, ყოველ ბუჩქს აშარდავს და შარაზე მიკინკილობს, როგორც ჩვენს ტელევიზიებშია — ყველაფერს ღიად იქმენ და საქმობენ, პირ-ბოზობით ქვეყანას აქცევენ და სვრიან. ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას ამ ვულგარული, სკაბრეზული შეფასებისთვის, მაგრამ ასეთი არ უნდა იყოს ტელევიზიები — არც ჩვენი და არც — სხვისი!

უსწორო, უზნეო სიტყვით ქვეყნის, ერის, ოჯახების დაქცევა იმ



გამოხატვის თავისუფლების ნაწილია, თავს რომ მოგვახვიეს.

●

ერთ თავის ბრწყინვალე წერილში („რა არის თავისუფლება“) ვაჟა-ფშაველა ამბობს: „ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავისი ყოფა-ქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს, საზოგადოებას... თუ ეს პირობა არ იქნება დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, რადგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის. მხოლოდ ამაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს, ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო — არა! ყოველ სიტყვას და მოქმედებას უნდა საზოგადო, საერთო ბედნიერება ედოს სარჩულად!..“

დიდი ვაჟას ეს დასკვნა არის ჩვენი ავადმყოფი ტელევიზიების და ავაზაკი პარტიების რეცეპტი.

●

ამ მორალზე წუხდა და ფიქრობდა კულტურული მსოფლიო დასაბამიდან დღემდე. ამისთვის ქმნიდა რჯულის კაცთა საბჭო მორალის კანონებს ჰამურაბიდან მოყოლებული, ვახტანგ VI-ის ჩათვლით, თუ გნებავთ, ხალხური ანდრეზული სამართალით.

ერთ მაგალითს მოვიტან რჯულის კაცთა საბჭოდან:

რჯულის კაცებს ამბავი მიუტანეს, რომ დამნაშავე ჩაბარუხი სახლის ბანზე გამოვიდა, ჯიხვის ტყავი გაბერტყა და ზედ ნებიერად წამოწვა, თან ყალიონი გააბოლა.

რჯულმა ჩაბარუხს ამგვარი „გამოხატვის თავისუფლება“ მისი საქმის განხილვის დროს მკრეხელობად (სასამართლოს უპატივცემულობად) ჩაუთვალა და დამატებით ჯარიმად („ჯურუმად“) 5 ცხვარი დააკისრა.

ხალხური სამართლის ერთ მაგალითსაც მოვიტან ზნეობის სფეროდან:

მოკლულისთვის მკვლელის მიერ სახეში ჩაშტერება ან თვალებში ჩახედვა მძიმე ამორალურ საქციელად, მიცვალებულის დამცირებად, ცოდვად ითვლებოდა და 5 ძროხით „ჯურუმდებოდა“. ჩვენ ვიცით, როგორ მოიქცა სააკაშვილი ცხინვალთან ომის დროს.

ახლა, რატომღაც, ძალიან უკვირს სექტანტურ ოპოზიციას, არასამთავრობოების კლანურ-ლიბერასტულ კასტას (ეგრეთ წოდებული სახალხო დამცველიანად), როცა სამართალი პასუხს სთხოვს მელიებს და მისთანებს დანაშაულისთვის და, თუ გნებავთ, კანონის თავხედური უარყოფისთვის.

ჩვენს ახლანდელ ქუჩაში მოარულ ჯალათებს და მათთან მიერთებულ „ვირისთავებს“ არაფრად მიაჩნიათ სახურავზე გაკოჭილი, ბორკილდადებული მკვდრების







შემოდებაც კი და „ორი ტრუპის“ მოთხოვნა და არც ის, რომ „სვანური ვენდეტის“ ავტორი „კუბდარა“ ახლა ქუჩიდან მუქარანარევ მორალს გვიკითხავს.

დანაშაულზე უპასუხობა იწვევს საზოგადოების დეპრესიას და სახელმწიფო უმწეობის განცდას...

●

„არავის არაფერი შეუძლია!“ — ეს ფრაზა რენე გენონს ეკუთვნის. ეს შემაძრწუნებელი მესიჯი გენიალური მისტიკოსის მიერ გადმოტყორცნილია კაცობრიობის გასაგონად.

მართლაც ჩვენს ქვეყანაში ვითარება ისე გართულდა, რომ გაჩნდა სკეპსისი და იმის განცდა, რომ „არავის არაფერი შეუძლია“ და „არაფერს არაფერი ეშველება!“ — ეს ბედისწერული მდგომარეობის განცდაა.

ჩვენი საზოგადოება და სახელმწიფო ისეთ აბსურდულ ვითარებაში აღმოჩნდა, როგორც საბავშვო ბაღის ექსპერიმენტული საცდელი კლასი, რომელსაც არავინ არაფერს ასწავლის და არც ეკითხება მაშინაც კი, თუ პანდემია შეეყარა, პირაკრულს გტოვებს, რომ თევზივით ჩუმად უსმინო ვინმე ევროატლანტოიდური მენტორის შორეულ ხმას და მის დაკრულზე იცეკვო.

ვითარება მართლაც საგანგაშოა, ერისთვის დეპრესიული და ანომალიური — შესუსტებულია შინაგანი ნებელობა, შეკუმშულია საარსებო სივრცე.

ირკვევა, რომ გლობალური მსოფლიო მონსტრის მიზანია ჩვენი ხელისუფლების პარალიზება, მისი დაშლა და რაც შეიძლება დაშორება, ხალხისგან იზოლაცია, საზოგადოების დაყოფა. პანდემიაც ამ ტენდენციას აძლიერებს.

ისინი ქმნიან „სხვა“, არასამთავრობოთა მთავრობებს, აფინანსებენ და ალაპარაკებენ სალხისა და სამართლის სახელით. საქართველოს ეს „სხვა“ მთავრობები აშანტაჟებენ და ანგრევენ. ჩვენ ალყაში ვართ. ისინი მფარველობენ და აცოცხლებენ მკვდარ პარტიებს, როგორც მკვდარი ტბების



ქვეწარმავლებს (რეპტილიებს) და უსევენ ხელისუფლებასა და ერს.

მთლიანად მოიწამლა ერის ზნეობრივი სივრცე ამათი ტელევიზიებით, მათი ეგრეთ წოდებული „გამოხატვის და ქცევის“ თავისუფლებით, მათი „დემოკრატიის“ ამორალური ძალადობით...

40 არასამთავრობო ორგანიზაცია აწერს ხელს რაღაც მინოტარულ ტექსტს სახელმწიფოს წინააღმდეგ და აგზავნის დედამიწის ყოველი მიმართულებით დასასმენად.

60 თითოკაციანი პარტია — დამნაშავე, კომპრომეტირებულ სექტანტთა ჯგუფი გამოდის ქუჩაში, ამტვრევს, ანგრევს, თითხნის ყველაფერს, პარლამენტს ბოქლომებს ადებს, აგინებს ხელისუფლებას, ეკლესიას. მერე ბრუნდებიან შალიკოს „ბუნკერში“ და თხზავენ კომპრომატებს. ავრცელებენ სიცრუის ეპიდემიას, მათი გახსნილი პანდორას ყუთებიდან იფრქვევა უამრავი ბაქტერია მსოფლიოს ყველა კონტინენტის მიმართულებით.

ეტყობა, მათი „ჭაობის ორკესტრის“ ხმა კარგად წვდება ატლანტის ოკეანეს, ჩამოდიან „აღშფოთებულნი“ თუ „შეშფოთებულნი“ და დიდი თევზებივით ყურს უგდებენ ამ მუსიკას. ეტყობა, მათ სულაც არ აინტერესებთ, რომ შენ რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა გყავდა, ხოლო თამარ მეფემ XII საუკუნეში სიკვდილით დასჯა გააუქმა.

თუმცა ეს მათ კარგად იციან!..

კვლავ პირველსავე სიტყვას მოვალ და ვიტყვი: უმთავრესი თემა და პრობლემა მაინც ერის მორალური სივრცის დაცვა და საზოგადოების ზნეობრივი გადარჩენაა სიტყვიერი პანდემიისგან, პარანოიდული ტელევიზიებისა და ახლად გაჩენილი პარაზიტი ორგანიზაციებისგან.

●

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა ტიპის კლანური კასტა, რომელიც პლასტებად დაედო ერთმანეთს.



— სახიფათო მკვლელების კლანი (ადამიანთა მსხვერპლშეწირვას რომ ითხოვენ);

— ანტიქრისტე მოგვების სექტა (ეკლესიასა და პატრიარქს მოურიდებლად რომ დევნიან);

— თითქოს კეთილგანწყობილი, მაგრამ უტვინო პინგვინი ადამიანების კლანი;

— ევროკავშირს შეფარებული არამზადების კლანი;

— პოლიტიკიდან ჩამოწერილების (შალიკო-ბურჯანაძეები) კლანი;

— რამდენადმე ქმედუნარიანი — ხაზარაძის ტიპის მტაცებელმევახშეთა კასტა;

— არასამთავრობოთა ხროვა და კიდევ მრავალი, რომლებიც ერთად და ცალ-ცალკე ებრძვიან საკუთარ ქვეყანას, მის კულტურას, რელიგიას, ტრადიციებს... ხელისუფლებას ასმენენ და ყიდიან ერის ღირსებას...

●

როგორ გაუძლებს ჩვენი საზოგადოება ამდენ შეურაცხყოფას და ცილისწამებას — გამოხატვის ველური თავისუფლებიდან მომდინარე ლექის ნიაღვარს?

ვინ დაიცავს მას აღვირახსნილი ფლუიდური დარტყმებიდან და მაზომბირებელი სფინქსისგან, რომელიც დაჟინებით გვითვალთვალებს...

ვინ უნდა იცავდეს ერს და საზოგადოებას — ხელისუფლება, ეკლესია თუ რომელიმე სხვა ინსტიტუტი? თუ კანონი და კონსტიტუცია?

სახელმწიფოში, სადაც თვით სახელმწიფოა დაუცველი, სადაც მელიას ტიპის ერთი ავანტურისტის თარეშის აღკვეთაც კი შეუძლებელია.

ვინ დაიცავს საზოგადოებას ზნეობრივი დეპრესიისგან, როდესაც თვით ეკლესიაც კი დაუცველია?

ხუთი ქოფაკი (ბულდოგი) ყოველდღე ფაშისტური ტელევიზიებიდან რომ დაჰყეფს ქვეყანას და დორბლს აფრქვევს, აფურთხებს და შეურაცხყოფს ყოველ ღირსეულ მოქალაქეს (მამულიშვილს) და მათ შორის, უწმიდესსა და უნეტარესსაც კი!

ვინ უნდა შეაჩეროს ესენი — აღვირახსნილი მიკროფონებიანი ტერორისტები, გამოხატვის თავისუფლების ზღვარს გადასული თავხედები, ტაძრების საკურთხეველშიც რომ იჭრებიან?

ვინ უნდა შეაჩეროს?

ალბათ, კანონმა და საზოგადოებამ ერთად! თუკი არ ემორჩილებიან კანონს, მაშინ შეიძლება საზოგადოება იქცეს კანონის აღმსრულებლად. ეს იქნება „მწარე პილპილი“.

ათასჯერ მითქვამს და ვიმეორებ: თუ სატელევიზიო „პანდორას ყუთები“ არ დაიკეტა და ლიბერასტთა ჯინი არ ჩაცხრა, სახელმწიფოს აშენება შეუძლებელი იქნება. ხელისუფლება ვერ შეძლებს ქვეყნის გადარჩენას!

●

დასასრულს ბატონი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის საყურადღებოდ გვინდა ვთქვათ:

უცხოეთიდან მოლაპარაკების მხარედ უნდა დადგეს ერის რჩეული საზოგადოება და არა რევანშისტულ-ფაშისტური პარტიების ხროვა.

უცხოელებს უნდა დაელაპარაკოს საერთო კრება, რჩეული და კითხული ხალხი საქართველოსი — მათი თემებიდან და ისტორიული კუთხეებიდან, ინტელიგენცია აკადემიური და სახელოვნებო კულტურული სივრციდან.

ჩვენ, ქართველი საზოგადოება, არ ვუშვებთ და არ დავუშვებთ სააკაშვილისა და მისი პარტიის მობრუნებას — ეს გამორიცხულია და შეუძლებელია! ეს უნდა იცოდეს ყველამ — შინაურმა და გარეულმაც.

მოვიყვანოთ პარტიაში და ხელისუფლებაში ადამიანები იდეებით, ეროვნული ცნობიერებით, ნიჭით აღჭურვილი — ასეთი პიროვნებები არ აკლია ჩვენს სამშობლოს.

მოიყვანეთ თემის კაცი, რეგიონის (კუთხის) კაცი, ქალაქის კაცი.

მითის და ეთნოკულტურის, ისტორიის კაცი!

მოიყვანეთ პატრიოტი, დეკლამატორი, ვისაც შეუძლია ემოციური სიტყვით გამოსვლა საზოგადოების წინაშე.

გყავდეთ პარლამენტში უგრეხელიძის ტიპის იურისტი, გნებავთ, პაპუაშვილის ტიპის ხელოვანი, რეჟისორი, მწერალი და ა. შ.

პრემიერი არ უნდა ხვდებოდეს ტერორისტებს, ტერორისტები უნდა ცდილობდნენ მასთან შეხვედრას.

ირაკლი ღარიბაშვილს გადააბარეს ურთულესი მემკვიდრეობა, რომელიც „ოცნებამ“ თვითონვე შექმნა.




ამ მემკვიდრეობის მართვა შეუძლებელია საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირის გარეშე.

თუ სახელმწიფოს არა აქვს ერის, ქვეყნის დაცვის კანონები, უნდა მიიღოს ასეთი კანონები დაუყოვნებლივ!

თუ სახელმწიფო ამ კანონს არ მიიღებს, ვერ შეაჩერებს სატელევიზიო ომს ერის მიმართ, ვირტუალური ძალადობის პანდემიას სახელმწიფოზე, საზოგადოებაზე, ერზე.

კანონების გარეშე ვერ დაიცავს კულტურას და ეკლესიას. სატელევიზიო ჟურნალისტ ბულდოგებს და „პეტუხებს“ არანაირად არ უნდა ჰქონდეთ პატრიარქის შეურაცხყოფის ნება და შესაძლებლობა; არც ივანიშვილის დევნის და ცილისწამების ნება.



# „შარლ მიშელი თუ გვიშველის, შარლს დავარქვათ შარლ მიშველი“



***„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი და საზოგადო მოღვაწე შოთა გლურჯიძე:***

**— ბატონო შოთა, შარლ მიშელმა ექვსპუნქტიანი შეთანხმება დაგვიტოვა და მოლაპარაკების საწარმოებლად მედიატორიც გამოგვიგზავნა. როგორ უყურებთ ამ პროცესს?**

— ძირითადად, ხუთი პუნქტია. მეექვსე, თავად, ფასილიტაციის პროცესს უკავშირდება, რათა შეთანხმება შედგეს. სამწუხარო ის გახლავთ, რომ წარმოდგენილი ხუთი პუნქტი ცალმხრივ ხასიათს ატარებს. ანუ, რეალურად, როცა მოლაპარაკების მაგიდას ორი მხარე



მიუსხდება, ერთმაც და მეორემაც გარკვეული წინადადებები უნდა წამოაყენონ და შემდგომ, ამაზე იმსჯელონ. ამ შემთხვევაში კი, ეს პროცესი, ცალმხრივია — ხუთივე პუნქტი, დღის წესრიგში, „ნაცმოძრაობისა“ და მისი სატელიტი პარტიების მიერ არის შეტანილი. „ქართული ოცნება“ აქ, თითქოს, გამორიცხულია. საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ იმ პუნქტების შესრულებაზე დაიყოლიონ, რაც ოპოზიციამ წარმოადგინა. აი, ასეთი სურათი იკვეთება.

**— ზოგადად, რამდენად ჯანსაღია პროცესი, რისი მომსწრენიც ვართ. კერძოდ, „ნაცებთან“ კოაბიტაციის მეორე ტალღა ხომ არ დაიწყო?**

— მე, ასე ვიტყოდი: „ნაცებთან“ კოაბიტაციის პირველი ტალღა ნებაყოფლობითი იყო, ახლა კი, ძალდატანებითი თანაარსებობის მეორე სერია დაიწყო. რატომღაც, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება. ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ ამ ხუთი პუნქტიდან ორი მათგანი, აბსოლუტურად, მიუღებელი და კანონსაწინააღმდეგოა. მაგალითად, კრიმინალების ციხიდან გამოშვება, რაც ერთხელ უკვე, ასევე, ზეწოლით განხორციელდა. შედეგად, გიგი უგულავა და ირაკლი ოქრუაშვილი, რომლებიც პარლამენტის შტურმში მონაწილეობდნენ ციხიდან გამოუშვეს. სალომე ზურაბიშვილმა ამას პოლიტიკური აუცილებლობა უწოდა, თუმცა, რა იგულისხმებოდა ამ ტერმინში, არ განუმარტავს. ჩნდება ეჭვი, რომ მასზე, გარედან, ჩვენი „მეგობრებისგან“ ზეწოლა განხორციელდა. მგონია, რომ ნიკანორ მელიას გათავისუფლებასთან და ვადამდელი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებითაც იგივე ხდება. მე, ვთვლი, რომ ეს არის ზეწოლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები მაშინ, როცა ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს — არც პოლიტიკური და ეს არც ხალხის მოთხოვნა არ გახლავთ. მელია და რურუა რატომ უნდა გათავისუფლდნენ, გაუგებარია. მათ ხომ კრიმინალი ჩაიდინეს?

**— ამასობაში, ვადაგასული ან უვადო არჩევნები არ შემოგვაპარონ?**

— კოვიდ-პანდემიის პირობებში, არჩევნების ჩატარება ისედაც რთული იყო. გარდა ამისა, ეს საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. რამდენჯერაც მიშა სააკაშვილი ვერ მოიგებს, არჩევნები იმდენჯერ ხელახლა რომ ჩატარდეს, გაუთავებელ, დაუსრულებელ პროცესს მივიღებთ. სოციალურ ქსელებში ასეთ „ლექსს“ წავაწყდი: „შარლ მიშელი თუ გვიშველის, შარლს დავარქვათ შარლ მიშველი!“ ოპოზიციის მიერ მოთხოვნილ პუნქტებს შარლ „მიშველმა“ კიდევ ერთი — სასამართლოს რეორგანიზაცია დაამატა. ეს საკმაოდ რთული პრობლემაა. ყველამ ვიცით, რომ სასამართლოს კუთხით, პრობლემები არის და ეს ერთი ხელის მოსმით ვერ გადაწყდება შემდეგი მიზეზის გამო: „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა და ეს მოსამართლეები უვადოდ დაამტკიცა. ასე, რომ საქმე მარტივად როდია. აი, ასეთი ვითარებაა. პრინციპში, ადგილი აქვს უპირობო ზეწოლას. განა გვთავაზობენ: რა შეიძლება იყოს გამოსავალი, არამედ პირდაპირ გვეუბნებიან: ასე უნდა გააკეთოთ და მორჩა. ჩემსავით, ქართველი ხალხის დიდი ნაწილიც თვლის, რომ ეს გარედან განხორციელებული ზეწოლაა.

**— არადა, თავად ხელისუფლება ამბობს, რომ დამნაშავეებთან არ ილაპარაკებს, კობახიძემ ხომ განაცხადა: „ნაცები“ საკონსტიტუციო ცენზს არ აკმაყოფილებენო?**

— კი, ასე ითქვა, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია. ხელისუფლება ერთ ნაბიჯს წინ დგამს, ორს უკან. ასე, უკან-უკან სვლით, სულ ბოლოში გავედით. ახლა რაც ხდება, ეს მოსახლეობის სეგრეგაციაა. „ქართული ოცნება“ ამ საკითხებს ვერ წყვეტს. ხელისუფლება, საკმაოდ, მხდალი აღმოჩნდა. ადამიანები, თითქმის, ყოველდღე არღვევენ კომენდანტის საათს და იმის გამო, რომ ისინი ევროკავშირის და აშშ-ს მფარველობის ქვეშ არიან, მათ პასუხს არ სთხოვენ. მე, სახლში შემოსვლა 15 წუთით რომ დავაგვიანო, მაშინვე 2 ათასლარიან ჯარიმას გამომიწერენ. ქვეყანაში, აი, ასეთი სეგრეგაცია, აპარტეიდია.

**— ღარიბაშვილის პრემიერად დაბრუნება არ ნიშნავს, რომ „ნაცებს“ პოლიტიკური ველიდან ალაგმავენ?**

— ჯერჯერობით, ვერ ვხედავ, რომ ხელისუფლებას საკუთარი ნათქვამის შესრულების თავი აქვს. კი ბატონო, გარედან გვავიწროვებენ, მაგრამ იმას მაინც ნუ იტყვი, რომ ზეწოლის ფონზე, უძლური ხარ. ეს, უკვე, სასაცილოა. ცხრა წლის მანძილზე კრიმინალები შეინარჩუნეს და ახლა, კიდევ მათ გაძლიერებას აპირებენ. რა უნდათ, რომ ნელ-ნელა, უკან-უკან სვლით ხელისუფლება გადააბარონ?! მე, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება.

**— ამის საშიშროებას ხედავთ?**

— იცით, რაშია საქმე: „ქართული ოცნება“ სიამოვნებით გადააბარებდა ხელისუფლებას, ეს, მათთვის, სახიფათო რომ არ იყოს. იმიტომ, რომ ხალხი „ნაცმოძრაობის“ უკან დაბრუნებას ვერ შეეგუება. ასე, შეიძლება საკმაოდ დაძაბული სიტუაცია შეიქმნას და საქმე სამოქალაქო ომამდე მივიდეს. აი, რა აბრკოლებს „ქართულ ოცნებას“. ისინი „ნაცებთან“ თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობენ.

**— არის საფრთხე, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გარეთ გამოვიდნენ და თავიანთი ძალა აჩვენონ?**

— ეს არ გახლავთ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები. რეალურად, ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც „ნაცების“ უკან მობრუნება არ სურთ. უბრალოდ, „ქართული ოცნება“ ამით სარგებლობს. მან იცის, რომ ხალხი მასზე ნაკლებ ზეწოლას ახდენს. მოსახლეობა ხვდება, რომ მმართველი ძალის დასუსტებით, სააკაშვილს მობრუნების მეტი შანსი ეძლევა, რაც ქართველ ხალხს არ აწყობს.

**— დასავლეთი სანქციებით იმუქრება, პოლიტ.მართლმსაჯულებას შეეშვითო, ნაცვლად იმისა, რომ დამნაშავეების დაჭერაში დაგვეხმაროს. ეს რას ნიშნავს?**

— ეს არის მეტროპოლია. ჩვენ, თითქოს, ერთ იმპერიას თავი დავაღწიეთ და ამ დროს, მეორე მეტროპოლიის ზეწოლის ქვეშ აღმოვჩნდით. რეალურად, ჩვენი სუვერენიტეტი სულ უფრო და უფრო მცირდება და იმ მინიმუმამდე მივიდა, რომლის იქეთ, დათმობა შეუძლებელია. შეტევა ხორციელდება ეკლესიაზე, სულიერებაზე, ღირებულებებზე და ა.შ., რასაც ქართველი ხალხი აღარ დათმობს. შეიძლება „ქართულმა ოცნებამ“ დათმოს, მაგრამ ხალხი ამას აღარ მოითმენს. სამწუხაროდ, ძალიან შემოგვიტიეს.

**— როგორ ფიქრობთ, ქართველი ხალხი რას ელოდება?**

— ჩემი აზრით, ქართველი ხალხი ყველაზე გონიერი აღმოჩნდა. იგი არ ამძაფრებს სიტუაციას, რადგან ფიქრობს: იქნებ, არსებული სიტუაცია დავძლიოთ და ეს გაურკვეველი მეგობარი დაგვეხსნასო. რეალურად, იმ ზღვრამდე თუ მიგვიყვანეს, რისი დათმობაც აღარ შეიძლება, რაც იდენტობას და ა.შ. ემუქრება, ქართველი ხალხი ვეღარ მოითმენს და თავის სიტყვას იტყვის. ვფიქრობ, ასე მოხდება. 100 ათასი მოწამესთვის ფული და ოქრო რომ მოეთხოვათ, ალბათ, დათმობდნენ, მაგრამ ხატს — არასდროს. აი, ამ დონემდე არ უნდა მიგვიყვანონ.

**— ფაქტობრივად, დამოუკიდებლად ვერაფერს ვაკეთებთ — არც დამნაშავის დაჭერის უფლება გვაქვს. ეს რას ნიშნავს?**

— ეს ხომ სახელმწიფოს ძირითად ფუნდამენტს, საერთოდ, არღვევს. როცა სახელმწიფოს არ შეუძლია დამნაშავე დასაჯოს, მისი ხელისუფლება, აბსოლუტურად, კასტრირებულია, რაც ძალიან ცუდია. ჩვენ, ამის ღირსი არ ვართ. მათ საქართველოსგან ძალიან ბევრი სიკეთე მიიღეს. ახლაც, ასეა — ჩვენი ბიჭები ავღანეთის მისიაში მონაწილეობენ და ა.შ.

**— „მეგობრები“ გვეუბნებიან: სამართალს ნუ აღასრულებთ, თან დემოკრატია შეინარჩუნეთო.**

— ევროპის ქვეყნების უდიდეს ნაწილს ძალიან მარგინალური ხელისუფლება ჰყავს. აშშ-ში, საერთოდ, ქვეყნის სათავეში არანორმალურად მოვიდნენ. რაც იქ ხდება, კომედიის ჟანრს სცდება. აქედან გამომდინარე, ისინი ვერ გრძნობენ რას აკეთებენ. მათ ჰგონიათ, რომ მართლები არიან და აბსოლუტურად თავხედურად გვაწვებიან იმაზე, რაც არანაირი მორალით, კანონით და დიპლომატიით დაშვებული არ არის. ჩვენ რომ ჩავიდეთ და აშშ-ს ან ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას თითი ვუქნიოთ, მიიღებენ ამას?






**— ამერიკაში კაპიტოლიუმში შეჭრა „შიდა ტერორიზმად“ გამოცხადდა, საქართველოში პარლამენტზე შტურმი — გმირობად.**

— დიახ, თან, კაპიტოლიუმში შეჭრა საკმაოდ რბილი ფორმით მოხდა. აქ კი, პარლამენტზე შტურმი, ჩვენს თვალწინ, რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. იცით რა, ეს ჩვეულებრივი თავხედობაა — ზემოდან გვიყურებენ, ჰგონიათ, რომ გაცილებით უკეთესები არიან. ჩვენ გვიყურებენ როგორც მესამე ქვეყანას, განუვითარებელ, უკულტურო ხალხს. არ იციან არც ჩვენი კულტურის, ტრადიციის, ადათ-წესების ამბავი.

**— მაინც, რა უნდა დასავლეთს?**

— უპირობო, მონური დაქვემდებარება. მე, ასე ვხედავ, ამას ითხოვენ, რაშიც არანაირი ლოგიკა არ დევს. გეუბნებით და გააკეთეთო — ასეთია მათი ტონი. თუ მათ მოთხოვნას არ შევასრულებთ, სანქციებით გვემუქრებიან. დიდ შეცდომად მიმაჩნია, როცა ხელისუფლებაში, პარლამენტში არიან ხალხი, რომელთაც უცხოეთში ფული აქვთ. შედეგად, მათ ქონების დაკარგვით ემუქრებიან. ბოლო პარლამენტი საკმაოდ მდიდარი ხალხით გაივსო. ყოველ შემთხვევაში, მაჟორიტარების ნაწილში, ასეა. მას მილიონერების პარლამენტს ეძახიან, ხომ. ხოდა, ამ ხალხს ფულის დაკარგვა არ უნდა. ამიტომ, ყველაფერს თანხმდებიან, ყველაფერზე თავს უკრავენ.

**— გამოდის, ჩვენი დამოუკიდებლობა მითია?**

— რა თქმა უნდა. მე, მინიმალურ სუვერენიტეტზე ვსაუბრობ, თორემ, დამოუკიდებელი მსოფლიოში არცერთი ქვეყანა არ არის. ევროკავშირში ყველა ქვეყანას თავისი უფლებები დელეგირებული აქვს. რაღაცებზე კონსესუსი არსებობს, მაგრამ მათ მინიმალური სუვერენიტეტი მაინც აქვთ და ჩვენ, ამასაც არ გვიტოვებენ. ამაშია საქმე. არ მგონია აშშ-მ საფრანგეთს გაუბედოს: კრიმინალები ციხიდან გამოუშვით, თორემ, სანქციებს დაგიწესებთო. ჩვენ, დაბალი ღობე ვართ.

**— გამოდის, ჩვენი ბედი საქართველოში არც ახლა წყდება. ეს ხან ისპაჰანში ხდებოდა, ხან მოსკოვში, ახლა, ბრიუსელში.**

— იცით, რა ხდება: ახლა, დასავლეთი შეიძლება იმანაც გააღიზიანა, რაც აზერბაიჯანსა და სასომხეთში მოხდა. იქ, პრინციპში, რუსეთმა გარკვეული პოზიციები დაიბრუნა. იმის ნაცვლად რომ ჩვენთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ, კავკასიაში დასავლეთის ბოლო რუბიკონი ხომ საქართველოა, მათ გადაწყვიტეს ჯოხი თავზე გადაგვატეხონ და მიშა სააკაშვილი ხელისუფლებაში დააბრუნონ, რაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის, აბსოლუტურად, მიუღებელია. რუსეთი ამ ყველაფერს ხედავს და საკმაოდ თავისებურად გველოდება: აი, ნახეთ, რას გიშვებიანო. ერთგვარად, ამაზე მეტყველებს, საქართველოსთან მიმართებაში, ნარიშკინის ტექსტი, რაც ოფიციალურად გამოაქვეყნა. საქართველოს სუვერენიტეტი უფრო მკვეთრად შემცირდება — ასე ამთავრებს ნარიშკინი. გული მისკდება ამას რომ ვკითხულობ იმიტომ, რომ ჩვენი ვითომ მეგობრები ვერ ხვდებიან, რეალურად, რა ხდება ან სულ არ აინტერესებთ, ჩვენთან მიმართებაში, ელემენტარული ზრდილობა ან ეთიკა შეინარჩუნონ. ძალიან ცუდი სიტუაციაა.

**— ხელისუფლება დასავლეთის ზეწოლის წინაშე უძლურია. ქართველი ხალხი როდის მიხვდება, რომ ზოგი რამ მისი გასაკეთებელია და არა მთავრობის?**

— იმ კეთილ საქმეებს, რასაც ხელისუფლება დროდადრო მაინც აკეთებს, ქართველი ხალხი ხედავს და მხარსაც უჭერს. ხელისუფლების ნამოქმედარს ხალხი ადეკვატურად აფასებს და არც მადლობის თქმა ეზარება. ქართველი ხალხი უმადური არ არის, მაგრამ ესენი ვერაფერს შვებიან. ეს არის უბედურება. ქვეყნის მართვა კომფორტული რამ როდია. ქვეყნის მართვას რომ ჩაგაბარებენ, ეს უდიდესი ტვირთია — მზად უნდა იყო იმაზეც, რომ შეიძლება ქონებაც წაგართვან და სიცოცხლეც დაკარგო. ესეთები იყვნენ ქართველი მეფეები, რომლებიც ისტორიაში გმირებად დარჩნენ. ისინი ქვეყნისთვის თავს სწირავდნენ. ვინც არ სწირავდა, მათი გვარ-სახელები არც ვიცით. ვინც თავდადებული იყო და ქვეყნისთვის უკან არაფერზე იხევდა, ის ადამიანები ისტორიას შემორჩნენ. ესენი იძახიან: რა ვქნა მომაწვნენ და რა გავაკეთო, სანქციებს დამიწესებენ, ჩემს ქონებას, ფინანსებს ყადაღას დაადებენო. ამის თუ გეშინია, მაშინ ხელისუფლებაში არ უნდა მოხვიდე. ყველაფერს ხალხს ნუ გადავაბრალებთ. მთავრობამ უფრო მეტად უნდა იმუშაოს.

**— რა მოლოდინები გაქვთ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდა გუნდისგან?**

— ნებისმიერი ადამიანი ვინც ქვეყნის უკეთესი მომავლისკენ გადადგამს ნაბიჯს, ჩემთვის მნიშვნელოვანია და აუცილებლად მხარს დავუჭერ. მაგრამ ამ მოცემულობას ვერ ვხედავ — რაღაცას იტყვიან, მერე ნაბიჯს უკან დგამენ, მერე დაავიწყდებათ მოცემული პირობა და ა.შ. სულ ამ გაუთავებელ კივილ-წივილს და ბალკონებიდან ხტომას ვუყურებთ. აშკარად, რაღაც უბედურებაში ვართ.

**— 16 მარტს ღარიბაშვილი ბრიუსელში ანგარიშის ჩასაბარებლად მიდის. რა მოლოდინი გაქვთ?**

— ხელისუფლების ადგილას ქართველ ხალხს დავეყრდნობოდი და ისეთ ნაბიჯს გადავდგამდი, რაც კანონით და კონსტიტუციით არის გათვალისწინებული და რაც ჩვენს სუვერენიტეტს გაამყარებდა. ისეთ ნაბიჯებს არ გადავდგამდი, რაც თავსმოხვეული და ზეწოლის შედეგია. შეშინებულ, მხდალ ადამიანს მხარს ვერ დავუჭერ. ამას ირაკლიზე არ ვამბობ. ირაკლის მიმართ ძალიან კარგი განწყობა მაქვს. იგი ძალიან ზრდილობიანი, პატრიოტი კაცია. მაგრამ არ უნდა შეეშინდეს, ღიად თქვას სათქმელი და ხალხიც გვერდში დაუდგება.

**— ჩვენ ისიც ვერ გაგვირკვევია, ბოლობოლო, ვინ არიან „ნაცები“ — კრიმინალები თუ პარლამენტში შესაპატიჟებელი ხალხი?**

— საერთოდ, ძალიან საეჭვოა 27%, რაც მათ არჩევნებში მიიღეს. ესეც ზეწოლის და დარიგების შედეგია. კულუარულად ვიცი: რამოდენიმე უბანი რომ გახსნეს და გადათვალეს, აღმოჩნდა, რომ „ქართულ ოცნებას“ ხმები დაკლებული ჰქონდა, „ნაცებს“ მომატებული. ამიტომაც არ ითხოვენ ხმების გადათვლას. ეს არ აწყობთ იმიტომ, რომ ასე, კიდევ უფრო ნაკლებ ხმებს მიიღებენ — იმის ნახევარს, რაც ახლა უწერიათ.

**— „შინმოუსვლელი“ მხარდამჭერებს სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდებს.**

— მხარდამჭერები, ფაქტობრივად, არ ჰყავთ. მათი 27% ვირტუალურია. ნახევარი მილიონი ადამიანი საქართველოში „ნაცებს“ მხარს ნამდვილად არ უჭერს. ეს ციფრები ზეწოლის შედეგია, რაც ევროპიდან და აშშ-დან ხორციელდება.

**— ჩვენ, ელემენტარული რამ ვერ მოგვიგვარებია — რამდენი დღეა ტელე-ეთერებიდან პოლიტიკოსები, არასამთავრობოები, ჟურნალისტები მსჯელობენ: როგორ უნდა მოიქცე, თუ დედას შეგაგინებენ. ამას განიხილავს ნატოში შემავალი ერი. ისევ ავად ვართ, ერი ვერ განიკურნა?**

— საერთოდ, გინება რომ გამოხატვის თავისუფლება იქნება, იმ საზოგადოებაში რაზე შეიძლება საუბარი, არ ვიცი. იძახიან: ჩვენ, გვაქვს უფლება ადამიანს ვაგინოთ და თქვენ, პასუხი არ უნდა მოითხოვოთ, რადგან ეს ჩვენი გამოხატვის თავისუფლებააო. ეს ხომ უბედურებაა. პოლიციელებს მონას ეძახიან. ამას რომელი ქვეყნის პოლიციელი ან ხელისუფალი აიტანს? საერთოდ, ეს ქვეყნის ფუნდამენტის, აბსოლუტური, მორღვევაა. ახალგაზრდებს მოუწოდებენ ჯარში არ წავიდნენ, პოლიციას შეურაცხყოფას აყენებენ, აფურთხებენ, აგინებენ, ხანშიშესულ პატრიარქს რას აღარ უწოდებენ, ეკლესიაზე ზეწოლას ახდენენ. გვაიძულებენ მოვითმინოთ ის, რაც შეუძლებელია. ხელისუფლება რაც საჭიროა იმას თუ არ გააკეთებს, მერე, ამას ხალხი თავად იზამს.

თამარ შველიძე
555 23 28 24



ვახტანგ ხარჩილავა

## ...და საქართველოც გაგვექცევა საქართველოდან

**თუ იქროლებენ კვლავ ასეთი მკაცრი ქარები,
კვლავ უპატრონოდ თუ დარჩება ჩვენი ტაძარი,
გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი ქალები
და სამუდამოდ მიეყრება კერას ნაცარი.**

**მათხოვრობისთვის განწირულნი, ნაშიმშილევნი,
დავრდომილები მიმოდიან ირგვლივ ქვითინით —
გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი შვილები,
ჩვენ გაგვექცევა სიცოცხლე და მოვა სიკვდილი.**

**ცად აღვლენილი სავედრებლად მტკივა ხელები,
დახაზულია ცის გუმბათი სისხლის ღარებით,
გაგვექცევიან ტყეები და მდინარეები,
გაგვექცევიან ახოები, ზვრები, ყანები.**

**გაგვექცევიან მეზვრენი და მევენახენი,
გაგვექცევიან მეგუთნენი, დურგალ-ხარატნი
და რაც აშენდა საუკუნოდ ერის სახელით,
თავს დაგვემხობა შინაური მტრების ღალატით.**

**თუ იქროლებენ კვლავ ასეთი მკაცრი ქარები,
თუ არ მოვიდა გმირი — ერი ვისაც ელოდა,
გაგვექცევიან ჩვენ აქედან ჩვენი ქალები
და საქართველოც გაგვექცევა საქართველოდან.**

# ვინ ემუქრება ლევან მამალაძეს და მის ოჯახს ლიკვიდაციით სააკაშვილ-ადეიშვილის ფარული ჩანაწერის გახმაურების გამო?

## ლევან მამალაძე: მე ვფიქრობ, თუნდაც ამ ეტაპზე, საქართველოს დიდი ხიფათი ავაცილე, თუმცა ახლა სერიოზული ხიფათი მე და ჩემს ოჯახს გვემუქრება, მაგრამ არაფერს ვნანობ – მე გავაკეთე ის, რაც ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა!



**— მოგესალმებით, ბატონო ლევან, თქვენ გაავრცელეთ ინფორმაცია ტვ-1-ის ჟურნალისტების მოსალოდნელ მკვლელობასთან დაკავშირებით. ვისგან გქონდათ ინფორმაცია და როგორ აღმოჩნდა ეს ინფორმაცია თქვენთან?**

— 2004 წლის სექტემბერში ჩამოვაყალიბეთ „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრი".

ორგანიზაციაში გავაერთიანეთ მაღალი დონის ექსპერტები, სპეციალისტები, პოლიტოლოგები, კონფლიქტოლოგები, სხვადასხვა გამოცდილების მქონე ადამიანები. სპეცსამსახურების ყოფილ თანამშრომლებს ვგულისხმობ...

ჩვენი საქმიანობის ძირითადი თემა იყო კონფლიქტების, პოლიტიკური პრობლემების მოგვარების, კონფლიქტების პრევენცია, წინადადებებისა და კონსულტაციების მიწოდება მაღალი რანგის ჩინოვნიკების, თანამდებობის პირებისთვის სხვადასხვა ქვეყნებში და განსაკუთრებით, უკრაინაში.

რატომ უკრაინაში? იმიტომ რომ, მე იქ მყავდნენ მეგობრები, კარგი ურთიერთობა მქონდა რეგიონის მმართველებთან, სახელმწიფო უწყებების მაშინდელ ხელმძღვანელებთან.

თავის დროზე ისინი დამეხმარნენ თავი დამეღწია სააკაშვილის დევნისგან. 2005 წელს უკრაინამ პოლიტიკურ დევნილად მაღიარა, ამ სტატუსით, ფაქტობრივად, დაცული ვიყავი სააკაშვილის შემდგომი აგრესიისგან, რომელიც კვლავ მოსალოდნელი იყო ჩემზე და ჩემი ოჯახის წევრებზე.

უკრაინაში 2014 წლამდე, დონბასში გაჩაღებულ ომამდე ვცხოვრობდით.

ჩემმა შვილებმა სკოლა უკრაინაში დაამთავრეს. ცეკვავენ, მღერიან ქართულად, ოჯახში სულ ქართულად ვლაპარაკობთ, ოცნებად აქვთ საქართველოს ნახვა, თორემ პატარა საქართველო ისედაც გვაქვს ოჯახში.

**— რაც შეეხება თქვენს მიერ გავრცელებულ ამბავს ჩანაწერების თაობაზე?!**

— იმის მიუხედავად, რომ ახლა უკრაინაში არ ვცხოვრობ, უკრაინელ კოლეგებთან და მეგობრებთან კონტაქტები არ დამიკარგავს. დღესაც ვმუშაობ კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე მსოფლიო მასშტაბით. ანალიზს ვაკეთებთ და გამოსავლის გზებს ვეძებთ – როგორ შეიძლება მოგვარდეს ესა თუ ის დაძაბულობა კონტინენტის სხვადასხვა ცხელ წერტილში. მე ექსპერტ-კონსულტანტი ვარ ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში და სამსახურებრივი კონტაქტები დღემდე მაქვს.

ადამიანებმა, რომლებმაც ეს ინფორმაცია მოიპოვეს, ის ხალხია, რომლებიც იყვნენ СБУ-ის (Служба Беспеки Украины) მაღალჩინოსნები, აქვთ ტექნიკური საშუალებები და ინფორმაციული წვდომა, როგორ უნდა მოიპოვონ საჭირო ინფორმაცია.

სააკაშვილი და ადეიშვილი იმდენად გულუბრყვილოები არ არიან, ღიად ილაპარაკონ ასეთ თემებზე. ისინი დახურული ხაზით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს.

ჩვენი ორგანიზაციის თანამშრომლებმა მიაგნეს ამ ხაზს და როცა მიხვდნენ, რაზე იყო საუბარი, დამიკავშირდნენ საქართველოში არსებული ჩემი კონტაქტებიდან



გამომდინარე. მათ იფიქრეს, რომ ეს თემა ჩემთვის საინტერესო იქნებოდა.

ამის გამო მომიწია სან-ანტონიოში გადასვლა და მათ წარმომადგენელთან შეხვედრა. იქ მოვისმინე ეს ჩანაწერები.

არსებობს ორი ჩანაწერი.

თავდაპირველად ჩემი ინტერესი იყო, რა შინაარსის იქნებოდა ეს ჩანაწერები და იყო თუ არა ისინი ნამდვილი.

ავთენტურობაში ეჭვი არ შემპარვია, რადგან საუბარი გრძელდება ლოგიკურად და თანმიმდევრულად და ეს საუბარი არსად არ წყდება.

მეორე ჩანაწერი არის ვიდეოს სახით. ზის სააკაშვილი და ადეიშვილს ელაპარაკება. სახელს ახსენებს და კვლავ პირველი სატელეფონო ჩანაწერის თემაზე საუბრობს.

რაც შეეხება შინაარსს. ეს იყო, მეტი რომ არ ვთქვა, აღმაშფოთებელი. მკვლელობის გარდა ჩანაწერებში უშვერი სიტყვებით აგინებს ოპოზიციას.

**— დეტალებზე აუცილებლად გკითხავთ. მანამდე მაინტერესებს: პირები, რომლებმაც თქვენ ჩანაწერი მოგასმენინეს, ოფიციალურად ახლაც მუშაობენ ამ მიმართულებით?**

— მათ აქვთ კერძო დეტექტიური ორგანიზაცია.

**— ამას იმიტომ გეკითხებით, რომ მაინტერესებს, რატომ აღმოჩნდა საინტერესო, კონკრეტულ შემთხვევაში, სააკაშვილი, მით უფრო, რომ ორგანიზაცია კერძოა და ის, ალბათ, შეკვეთებზე მუშაობს.**

— ბოლო ხანებში სააკაშვილი აქტიურად ჩნდებოდა რესტორნებში და სხვადასხვა გასართობ ადგილებში. ამასთანავე, უკრაინაში, თავად ხელისუფლებში, სააკაშვილის პერსონა კვლავ მოექცა ყურადღების ცენტრში.

ამის შესახებ ჩემს კოლეგებს ჩემთან არ უსაუბრიათ, მაგრამ, ვფიქრობ, მას შემდეგ, რაც სააკაშვილი უკრაინის რეფორმების აღმასრულებელი კომიტეტის თავ-



მჯდომარედ დაინიშნა, ზელენსკისთან ურთიერთობა დაეძაბა.

ხომ იცით მაგის ხასიათი – პიარს იკეთებს – ვითომ ძლევამოსილია და ყოვლისშემძლე, არადა, ნელ-ნელა შლის სტრუქტურებს, აფუჭებს საქმეს და მერე იმათ აბრალებს ყველაფერს, ვინც მისცა სამსახურებრივი და თანამდებობრივი უფლებამოსილებები. ასე ლანძღავდა თავის დროზე შევარდნაძეს, პოროშენკოს, ახლა ზელენსკის ჯერია და ზელენსკიმაც მისგან თავის დაღწევა გადაწყვიტა. მე ვფიქრობ, ეს იყო საფუძველი, რომ მას უსმენდნენ.

**— რამდენხნიანია ეს ჩანაწერები?**

— სატელეფონო საუბარი უფრო გრძელია და დაახლოებით, 10–12 წუთი გრძელდება. ვიდეოჩანაწერი უფრო მოკლეა.



**— ვიდეოჩანაწერში რა ჩანს?**

— ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ სააკაშვილი ზის მაგიდასთან, როგორც ეტყობა, საუზმობს, რადგან სუფრაზე საჭმელი ულაგია და ელაპარაკება ადეიშვილს. ახსენებს სახელს – ზურას. საუბარი იმავე თემაზეა, რაზეც სატელეფონოში, ოღონდ ვიდეოჩანაწერში, ცხადია, მოსაუბრის ხმა არ ისმის.

**— სატელეფონო საუბრისას ადეიშვილი რას ლაპარაკობს?**

— ადეიშვილი მშვიდად ლაპარაკობს, სააკაშვილი აღგზნებული ყვირის, იგინება. აგრესიის მსგავსი ადეიშვილის მხრიდან არ იგრძნობა.

სააკაშვილი რჩევებს ეკითხება მას.

**— მოდით, მოგვიყევით, კონკრეტულად რა მოისმინეთ.**

— ზუსტი სიტყვების გადმოცემა გამიჭირდება. მე შინაარსს უფრო ვაქცევდი ყურადღებას. თუმცა რამდენიმე ფრაზა მაინც დამამახსოვრდა. ხშირად ამბობს: მკვლელობა არის საჭიროო, არა, უფრო ზუსტად: მოკლული უნდა იქნენ მელაძე და ჩიხლაძე. დიახ, ასე ამბობს: მოკლული უნდა იქნენ. თან აგინებს ოპოზიციას და ამბობს: ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია. ესენი უმაქნისები არიანო. იმ ჩანაწერებს, რომლებიც იქნა მოპოვებული – ბერა ივანიშვილის და ირაკლი ღარიბაშვილის საუბარს ვგულისხმობ – ვერ იყენებს ოპოზიციაო, ვერ ააგორეს უკმაყოფილების ტალღა, უვარგისები არიან, არადა, სწორედ ახლა არის ის ვითარება, რომ გაღრმავდეს საზოგადოებრივი კონფლიქტი და უკმაყოფილება, რომ გადააყენონ ღარიბაშვილიო. ანუ რევოლუციის წინა პერიოდი უნდა შეიქმნას და ამას ვერ ახერხებენ ოპოზიციონერებიო და აგინებს მათ. ყველაფერი მე უნდათ, რომ გავაკეთოო და რადგან ამ საქმისთვის მსხვერპლია საჭირო, მელაძე და ჩიხლაძე მოკლული უნდა იქნან, სანაიას სცენარის მსგავსადო. ეს იქნება კულმინაცია და რევოლუციას წინ



აღარაფერი დაუდგება. დაიწყება მასობრივი გამოსვლები და ივანიშვილის ხელისუფლება საბოლოოდ დაემხობაო. ეს არის ძირითადი შინაარსი. იქვე საუბარია იმაზე, ვინ შეიძლება ეს გააკეთოს. ამაზე ეკითხება ადეიშვილს, რომელ უწყებაში ვინ გვყავს ისეთი, ვისაც ამ საქმეს ვანდობთო. ჯობს საქართველოში ვინცაა, იმან გააკეთოს საქმე, ვიდრე აქედან ჩასულმაო.

**— ანუ უწყებრივ დონეზე მიდის საუბარი და არა, ვთქვათ, ვინმე დაქირავებულ მკვლელზე?**

— დიახ. ადგილობრივი შევარჩიოთო, ასე ჯობიაო, ამბობს და არ ვიცი, მოსაფიქრებელიაო, პასუხობს ადეიშვილი.

შემდეგ გადადიან ფინანსების საკითხზე. თანხების მობილიზებაა საჭირო, იქვე მედიაუზრუნველყოფა. რაც, ასევე, თანხებს მოითხოვსო.

**— ხომ არ გახსოვთ, ან ხომ არ უთქვამს სააკაშვილს, რომელი სახელმწიფო უწყების იმედი ჰქონდა უფრო მეტად?**

— არა, უწყებებს არ ასახელებს, ამბობს: რომელ უწყებაში ვინ გვყავს ამ საქმის გამკეთებელი, გადასახედია ესაო.

იქვე, როგორც ვთქვი, აგინებს ოპოზიციას.

— **კერძოდ, ვის აგინებს?**

— არ მინდა გვარების დასახელება, თუმცა ერთს კი ვიტყვი: ოპოზიციიდან ყველას ჭკუა ეყო. კარგად იციან, რომ მანიაკი სააკაშვილი ყველაფერზე წამსვლელია, შეიძლება დღეს ხელი ჩამოართვას კაცს, სუფრაზეც დაუჯდეს და მეორე დღეს გაწიროს, არავინ არ გადაფარებია მიშას უგულავას გარდა და ახლა არ გავიმეორებ იმ სიტყვებს, რასაც უგულავაზე ამბობს ჩანაწერში.

— **ნეტა, რას ერჩის მხოლოდ უგულავას?**



— მხოლოდ უგულავაზე არ ლაპარაკობს, სხვა ოპოზიციონერებსაც აგინებს...

— **მათ სახელებს რატომ არ ამჟღავნებთ, ვისაც აგინებს?**

— დაიდება, ალბათ, ეს ჩანაწერები და თავიანთი ყურით მოისმენენ ყველაფერს. მე არ მინდა მათი ურთიერთობების დეტალებში მოვხვდე.

— **როდესაც თქვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ვიდეო-მიმართვა ჩაწერეთ და ფეისბუკზე გაავრცელეთ, რა იყო თქვენი მიზანი?**

— ეს ჩანაწერი რომ მოვისმინე, თავზარი დამეცაო, რომ იტყვიან, რადგან ინფორმაცია არის უკიდურესად საგანგაშო. თანაც ჩემს მოსმენამდე გარკვეული დროით ადრე არის ეს ჩანაწერი გაკეთებული და იმწამსვე წამოვიდა გონებაში: მე არ ვიცი, რა მოიმოქმედა სააკაშვილმა და რა ეტაპზეა ეს სისხლიანი გეგმა-მეთქი. ვერაფრით ვერ გავჩერდებოდი, არ ვიცოდი, როდის რას დაუშავებდნენ კონკრეტულ ადამიანებს. მე ვერ დავჯდებოდი და ვერ დაველოდებოდი, კიდევ რა საშინელებებს დაატრიალებდა ის არანორმალური. მე ვმჯდარიყავი და შორიდან მეყურებინა? ეს გამორიცხულია.

ჩემი ამოცანა იყო, ყველაფერი ეს გამესაჯაროებინა და ჟურნალისტების მკვლელობის საფრთხე აგვერიდებინა. ამ ეტაპზე სააკაშვილს ეს გეგმა ჩაეშალა. ჩემი ინფორმაციით, ბრძანდება საშინლად გაღიზიანებული. ახლა, დასაცავი არიან ეს ჟურნალისტები და პოლიტიკური ლიდერებიც, რადგან არავინ იცის, სააკაშვილის ავადმყოფურ ტვინში კიდევ რა მოიხარშება და აქვე ვიტყვი, უკვე მუქარები მომდინარეობს ჩემზეც.

სხვათა შორის, არ მიფიქრია, კარგ საქმეს თუ გავაკეთებდი და ამით მტრებს მოვიმრავლებდი.

ე.წ. ტროლების და ბოტების მუქარებს სოციალურ ქსელში არ ვანიჭებ დიდ მნიშვნელობას, მაგრამ ჩემს ტელეფონზე შემოდის სმს-ები, ზარები, ზოგი დაფარული, ზოგი ღია ნომრებიდან და სასტიკად მემუქრებიან. ცხადია, ყველაფერ ამით ჩემ თავსაც შევუქმენი პრობლემები.

— **რომელი ქვეყნის ნომრებიდან გირეკავენ ძირითადად? და ეს რას შეიძლება ნიშნავდეს?**

— ყველაფერ ამაზე ვმუშაობ. ვარაუდების დონეზე არ ვილაპარაკებ. მაგრამ როგორც დავადგინე, ამერიკიდან და უკრაინიდან მოდის ზარები. მეუბნებიან, რომ იციან სად ვიმყოფები და ა.შ.

— **ახლახან თქვენ კიდევ გაავრცელეთ ვიდეომიმართვა, სადაც პირდაპირ მიანიშნებდით, უშუალოდ სააკაშვილისგან მომდინარე საფრთხეებზე. მიშასგან კვლავ საფრთხე გემუქრებათ?**

— დიახ, სააკაშვილს ჰქონდა და აქვს რევოლუციის სურვილი საქართველოში, მაგრამ, გაგიკვირდებათ და ამ ყველაფერთან თანხვედრაში არის რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის უფროსის ნარიშკინის განცხადება, რომელიც ამბობს, რომ აშშ უკმაყოფილოა საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებით, სააკაშვილი მართული იყო აშშ-დან, ხოლო ეს ხელისუფლება არ არის ბოლომდე მორჩილიო. ამ განცხადებებიდან გამომდინარე, რა ვთქვათ, რუსეთის დაზვერვა ზრუნავს საქართველოს მომავალზე?

ამ განცხადებით, რუსეთის დაზვერვა დარტყმის ქვეშ აყენებს საქართველოს ხელისუფლებას და ბიძგს აძლევს ოპოზიციას, გამოვიდნენ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ?! სხვა არაფერი ჩანს აქ. ამას დამატებული რუსეთის გაძლიერება კავკასიაში.

— **ბატონო ლევან, თქვენ, როცა, როგორც თქვით, სატელეფონო შეტყობინებები მოგდით, რა შინაარსისაა ისინი. სიცოცხლის ხელყოფით გემუქრებიან?**

— ძირითადი შინაარსი არის: არაფერი არ შეგრჩება! რომ დადიხარ, უკან იყურე! რაც მოგივა, საკუთარ თავს დააბრალე! მოკლედ, ლიკვიდაციით ახლა მე მემუქრებიან. რეკავენ რუსულენოვანი ინკოგნიტო პირები და ქართველებიც. ივანიშვილის საქმეს აკეთებო. არ შეგრჩებაო. იგინებიან, ილანძღებიან. ეს სატელეფონო ჩანაწერები მე უკვე დავდე ფეისბუკის ჩემს გვერდზე. ახლახან შევიტყვე, უკვე მითვალთვალებენ, რის გამოც ლოკაცია უკვე შევიცვალე.

— **თქვენ დღემდე საქართველოს მოქალაქე ხართ, არა?**

— დიახ. მე ვარ საქართველოს მოქალაქე და ქართულმა სახელმწიფომ უნდა დამიცვას მე!

— **საქართველოს პროკურატურიდან ან სხვა უწყებებიდან რომ არ შეგხმიანებიან, ან ქართული პოლიტიკური ოპოზიციიდან?**

— როცა ვიდეო-მიმართვა გავრცელე, ყველა ოფიციალური უწყება „მოვთაგე“ – ხელისუფლებაც, „ნაცმოძრაობაც“ „ევროპული საქართველოც“, „ლელოს“, ჟურნალისტებსაც გადავუგზავნე. მათ შორის თქვენც. მე ვვარაუდობდი, რომ ის ჟურნალისტებიც დამიკავშირდებოდნენ, რომელთა სიცოცხლის ხელყოფაზეც მქონდა აქ საუბარი. ყველა ჩუმად იყო 8-დან 10 რიცხვამდე. 10-ში ტელეკომპანია „იმედმა“ დამირეკა და ჩემი განმარტებები ამ საკითხზე იხილეთ კიდევაც ტელეეთერით.

მე არ მაინტერესებდა აჟიოტაჟის ატეხვა. მთავარი იყო, ერთხელ კიდევ გვემხილებინა სააკაშვილი და მისი გეგმები ჩაგვეშალა. ეს იყო ჩემი ინტერესი. საქართველოში კი სხვანაირადაა – ახლა მთავარია, ვინ შექმნის საინფორმაციო მოვლენას და ვინ ვის დაარტყამს. როცა ტვ „იმედი“ დამიკავშირდა, მერე გამოიჩინეს ინტერესი ტვ-1-მა და სხვებმა. მაგრამ ყველაზე უცნაური აქ ის არის, რომ საფრთხე, რომელიც მე გავაჟღერე, გახდა მეორეხარისხოვანი. მნიშვნელოვნად აქციეს ის, თუ ვინ გააშუქა ეს პირველად. ეს არის თუნდაც პოლიტიკური ანდა ჟურნალისტური მოუმწიფებლობის შედეგი.

— **თქვენი ინფორმაცია ნამდვილად იყო სკანდალური და საგანგაშო, მაგრამ ოპოზიციას რეაქცია არ ჰქონია, ხომ არ ფიქრობთ, რომ, როგორც გვარამიამ განაცხადა გაბუნიას მკვლელობის მოსალოდნელობის დროს** – მე ადრე ვიცოდი ამაზეო, **ახლაც იგივე რაიმესთან ხომ არ გვაქვს საქმე?**

— არაფერი არ არის გამორიცხული. მე 8 მარტს დავდე ეს ინფორმაცია, სავარაუდოდ, ჩანაწერი გაკეთებულია 6 რიცხვში, 10 მარტს ქართულმა ტელევიზიებმა გაახმაურეს, 6-დან 10-მდე, ამ ოთხ დღეში ვინ რა დავალება მიიღო და რა მოხდა იქ, ეს, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, თუმცა, რა თქმა უნდა, ვინმეს აქაც ეცოდინებოდა სააკაშვილის განზრახვის შესახებ.

სააკაშვილს ეს განზრახვა, სავარაუდოდ, ალბათ, ჰქონდა ადრეც, მაგრამ იმ ჩანაწერებით თუ ვიმსჯელებთ, მიშა აშკარად გაღიზიანებულია რატომღაც და დაჩქარება უნდა სიტუაციის. სააკაშვილი არის მანიაკი. მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

მე არავისგან არ ველოდები მადლობას. ჩემი მთავარი ამოცანა იყო, ჩამეშალა სააკაშვილის გეგმები და ეს, მგონი, ამჯერად, მოვახერხეთ. თუმცა საქართველოში დღეს ისეთი სიტუაციაა, ადამიანი სიკვდილს რომ გადაარჩინო, ყურადღება გამახვილდება მხოლოდ იმაზე, რა ტიპის საინფორმაციო კონტექსტში იქნება ის განხილული.

— **თქვენი აზრით, ახლა ეს ჩანაწერები ვის ხელშია?**

— ჩემი აზრით, ეს ჩანაწერები უკვე აღებულია...

— **ორგანიზაცია, რომელმაც სააკაშვილ-ადეიშვილის ჩანაწერი მოიპოვა, მხოლოდ სიტუაციების და კონფლიქტების ანალიზითაა დაკავებული თუ დაინტერესებულ მხარეებზე ჰყიდიან კიდევაც ინფორმაციებს?**

— ჯერ ერთი, ანალიზიც ფული ღირს და მეორეც, თუკი არსებობს ინტერესი, მოიპოვებენ ჩანაწერებს და გარკვეულ საფასურად ჰყიდიან. ეს მათი საქმიანობის ნაწილია.

— **კარგი...**

**თქვენი საქართველოში დაბრუნების საკითხი რა ეტაპზეა?**

— მე 2012 წლიდან ვერ მივაღწიე, რომ ჩემი საკითხი კანონიერ ჭრილში განხილულიყო და ჩემ მიმართ კანონიერება აღსრულებულიყო.

სხვა მაგალითს არ ვიცნობ; მე ვარ ერთადერთი ადამიანი, რომელზეც განხორციელდა პოლიტიკური დევნა. საქართველოს კონსტიტუცია და კანონი არ მიცავს მე.

2012-იდან რამდენი პროკურორიც ყოფილა, ყველას მივმართე, მაგრამ არავინ არ განიხილა ჩემი საკითხი. ძირითად მიზეზად მიმაჩნია ის, რომ პროკურატურაში დღემდე მუშაობენ ის ადამიანები, რომლებიც მონაწილენი არიან ჩემს უკანონო სისხლის სამართლებრივ დევნაში, ჩემი ახლობლების სიკვდილამდე მიყვანაში. ეს ადამიანები აფერხებენ კანონიერების აღსრულებას, ზოგადად, ქვეყანაში.



მე ადამიანი არ მომიკლავს, ქვეყნისთვის არავითარი ზიანი არ მიმიყენებია. ჩემი საქმე არის ჩემი დეკლარაცია. სხვა ვერაფერი ვერ იპოვეს. რაც დეკლარაციაში მეწერა, მტკიცებულებების გარეშე ის გამოაცხადეს უკანონოდ.

მე მივმართე პრეზიდენტს – მომცეს საშუალება პანდემიის დროს მაინც ვიყო დედაჩემის გვერდით, რომელიც 80 წელზე მეტისაა და გული მისკდება, ვირუსი არ დაემართოს. არც მე ვარ პატარა ბიჭი, ჩემი შვილებიც გაიზარდნენ და ოცნებად აქვთ საქართველოში ჩამოსვლა.

ჩემს თხოვნაზე პრეზიდენტს პასუხი არ გაუცია, თუმცა მას წარუდგინეს ჩემს მხარდამჭერთა შეწყალების პეტიცია, რომელზეც 4000-ზე მეტი ხელმოწერა იყო, იქვე იყო პარლამენტის 11 დეპუტატის მიმართვა, ოთხი მიტროპოლიტის და ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლების ხელმოწერებიც.

კვლავ ვერაფერი ვერ შევძელი.

უგულავა და ოქრუაშვილი კი შეიწყალეს. საყვედურს არ ვამბობ, პრეზიდენტს აქვს უფლება საკუთარი განსჯის მიხედვით იმოქმედოს, მაგრამ ამდენი ადამიანის თხოვნა და მიმართვა უპასუხოდ რომ დარჩა, ეს მტკენს გულს.

— **ბევრი ადამიანი ვიცით, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს გაექცნენ. მათ შორის, ემზარ კვიციანი, რომლის შვილები საქართველოში ცხოვრობდნენ. თქვენი შვილები რატომ ვერ ჩამოდიან საქართველოში?**

— ისინი ფიქრობენ: ჩვენ და ჩვენი მშობლები ვართ უსამართლოდ დევნილნი და გადახვეწილები, როცა მოხდება რეაბილიტაცია, ყველა ერთად დავბრუნდებითო. ცოტა რთულად აღსაქმელია ეს. საქართველოში ვინც არის, გაუჭირდება ამის გაგება.

ჩვენ არ ვნებდებით. ისევ მივმართავ პრეზიდენტს, რომ მან, იქნება, ახლა მაინც გაითვალისწინოს ჩვენი თხოვნა.

არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერით არ ვაპირებ ბრძოლას, არც არავის ვემხრობი, არც არავის ვემტერები. არ მინდა ვინმემ დამარქვას ვინმეს მომხრეს სახელი. აღარ მაინტერესებს პოლიტიკა – სამშობლოში მინდა დაბრუნება..

— **სს საქმე რა მუხლით არის თქვენზე აღძრული?**

— ჩემი დეკლარაციის მიხედვით. მანქანას და ვიზა-ბარათს ქრთამი დაარქვეს, ე.ი. სრულიად უქონელი უნდა ვყოფილიყავი, ფეხით ან ურმით უნდა მევლო, თურმე.

საქართველოში ვერ ნახავთ ადამიანს, რომელიც დაადასტურებს, რომ მე ქრთამი მომცა.

— **სოციალური ქსელი „აფეთქდა“. ხალხის გარკვეული ნაწილი თუ ნიანგებზე მონადირედ მიგიჩნევთ, ნაწილი მოგიწოდებთ – ჩამოდით, წარსდექით მართლმსაჯულების წინაშე და გაიმართლეთ თავიო.**

— სად ჩამოვიდე, იმ პროკურორებს ჩავბარდე, რომლებმაც სააკაშვილის დავალებით უკანონოდ აღძრეს ჩემზე საქმე? რომლებმაც სიკვდილამდე მიიყვანეს ბიძაჩემი, გამოიწვიეს მამაჩემის სიკვდილი, ასევე ჩემი სიძის და ერთი ახლო ნათესავის, ჩემი 2, 6 და 7 წლის შვილებს მოკვლით ემუქრებოდნენ? რომ მითხრან: ჩამოდი და შენს საკითხს სასამართლო განიხილავსო, ჩამოვიდოდი, მაგრამ ასეთი რამ არავის უთქვამს. გარანტიის მომცემი არავინ არაა.

ახლა ვაპირებ მივმართო ირაკლი ღარიბაშვილსაც. მისი იმედი მაქვს. ის ერთადერთი კაცია, რომელიც შეეცადა სამართლიანობის აღდგენას. მან შეძლო პოლიტიკური დევნის ერთი შემთხვევის გადაწყვეტა. მისი კონტროლის ქვეშ იქნა აყვანილი ყოფილი ვიცე-პრემიერის თემურ ბასილიას საკითხი და პროკურატურა იძულებული გახდა, საკითხი განეხილა. თემურ ბასილია სასამართლომ გაამართლა.

სხვათა შორის, ღარიბაშვილის ინიციატივით შეიქმნა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულებათა გამოძიების დეპარტამენტი. დიდი იმედი მაქვს, ეს დეპარტამენტი, ბოლოს და ბოლოს, ჩემს საკითხსაც შეისწავლის.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# დიდი საროსკიპო



ამას წინებზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა: „მე არ ვებრძვი ოპოზიციას, მე ვებრძვი ჩვენი ქვეყნის მტრებს".

ამ ქვეყნის მტრებს ერთი ირაკლი ღარიბაშვილი ვერ მოერევა, ჩვენც უნდა დავეხმაროთ, მხარში ამოვუდგეთ, ჩვენი საკეთებელი გავინაწილოთ. მაგალითად, მე, ამ ქვეყნის ერთ მოქალაქეს რა შემიძლია? რა და... სადაც ვსაქმიანობ, იმ სფეროს უნდა მივხედო. ეს სფერო გახლავთ ქართული ჟურნალისტიკა.

ყოფილმა პარლამენტარმა მერაბ კაჭახიძემ ასეთი რამ დაწერა: "არა რა, არაფრის კეთება არ ვარგა "არც წყალი, არც ღვინოს" პრინციპით. თუ გაბოზდები, ისე უნდა გაბოზდე, როგორც ჩვენი ჟურნალისტიკა. მაგათ არც პოლიტიკოსები ჩამოუვარდებიან.

მარა ერთსაც და მეორესაც თუ გასდის და უფასდება საქციელი, გამოდის, არც ჩვენ – საზოგადოება ვართ უკეთეს დღეში".

მსგავს წერილზე ადრე ერთ ამბავს ავტეხავდი, ამის დამწერს თითოეულ სიტყვას გავურჩევდი, ტყავს გავაძრობდი და არ ვიცი, რას ჩავიდენდი. ახლა კი... ახლა ვეთანხმები – სამწუხაროდ, ქართული ჟურნალისტიკა გაბოზდა!

ახლა ვზივარ და ვფიქრობ, ეს როგორ, რანაირად მოხდა? არა, ვერ ვიტყვი, ამ სფეროში მუდამ ციდან ჩამოფრენილი ანგელოზები მუშაობდნენ-მეთქი, მაგრამ უნდა ვაღიარო, ამ უვიცებთან შედარებით ყველა ანგელოზი იყო და არის. შედარებით-მეთქი, თორემ ავაზაკები ყველა დროში გრიმიტობდნენ. ჩვენდა საუბედუროდ, რაც საქართველომ ე.წ. დამოუკიდებლობა მოიპოვა, ავაზაკები გამრავლდნენ, მომრავლდნენ და აჰა, უკვე იქამდე მივედით, გადმოვლას რომ გვიპირებენ.

ვუყურებ, ხალხო ტელევიზორში "მობლატავე" ტიპებს, ე.წ. წამყვანებს, ე.წ. ჟურნალისტებს, ე.წ. ანალიტიკოსებს, ე.წ. ექსპერტებს და გაოგნებული ვარ – სრული ულოგიკობა, სრული უტვინობა, სრული უვიცობა... ადრეც არსებობდნენ უვიცები, როგორ არა, ასეთების მეტი რა გვინახავს, მაგრამ ლაპარაკს მაინც ახერხებდნენ, სათქმელს თავიანთებურად მაინც გადმოსცემდნენ, თუ გონებას დაძაბავდით, რაღაცას მაინც გაიგებდით. ეხლა ვერა, ვერაფერს გაიგებთ. წამოგეტყლარწება ვიღაც უწიგნური ეკრანზე და დაგიწყებს პრანჭვა-გრეხვას, ვერ მიხვდები, რა უნდა, რას ამბობს, რისთვის ამბობს, ვისთვის ამბობს, რატომ ამბობს და რანაირად ამბობს.

საუბარი ზოგადი და უსაგნო რომ არ გამომივიდეს, ფაქტებს მოვიტან: წინა კვირის რომელი დღე იყო, აღარ მახსოვს, არც აქვს მნიშვნელობა, მეთუთუნე ავთო წერეთლის "ტვ პირველის" ("ჭუტავიზიას" რომ ეძახიან) ეთერში ერთი კაპარჩხინა ქალი გამოვიდა და გამოაცხადა, მე ჟჟჟჟჟჟჟჟუუურრრრრნალისტი გახლავართ, ნება იბოძეთ, დამემორჩილეთ, აქ "პარადი" მე მიმყავს, შეკითხვებს მე ვსვამო. ეს კაპარჩხინა ქალი, მაია მამულაშვილი, რომელიც მზად არის, ცოცხზე გადაჯდეს და გაფრინდეს, დავით აქუბარდიას კნეინის, ნინელი ჯანგირაშვილის აღზრდილია. ჯანგოს გაზრდილი რა უნდა იყოს? რა ილეთებიც ასწავლა, ხელებსაც იმ რაკურსითა ჰპარჭყავს. გავიხედე, წინა ზაფხულს "ჭუტავიზიაში" გაიჩითა და ეგრევე ამბიციებიც გაუათმაგდა. ქალს აშკარად ეტყობა, რომ "თხა და გიგოც" კი არ აქვს წაკითხული. შეიძლება აქვს, მაგრამ არ ახსოვს. ვინმე მაია მამულაშვილი თავისი ჟურნალისტური "მოღვაწეობის" დასაწყისს ასე აღწერს:

„მახსოვს, როგორ ვღელავდი, მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა წინასწარ უნდა ჩამეწერა. ჩემი დაქალისგან ვითხოვე თეთრი პიჯაკი, თმა საგულდაგულოდ დავივარცხნე, ვიზაჟისტის საქმეც შევითავსე და სუფლიორთან უკვე შედარებით დამშვიდებული დავჯექი. ჩემთვის მთავარი იყო პროექტის ხელმძღვანელის – ვაჟა ბერიძის შეფასება. სულ მეგონა, არასდროს არავისი არაფერი მოსწონდა და ჩემდა გასაკვირად, მისგან პირველი დადებითი შეფასება დავიმსახურე. მხოლოდ ერთი შენიშვნა ჰქონდა – ჟურნალისტი და მით უმეტეს წამყვანი, ლამაზი არ უნდა იყოსო".

გაიგონეთ? ბატონ ვაჟას უთქვამს, ჟურნალისტი და მით უფრო გადაცემის წამყვანი ლამაზი არ უნდა იყოსო.

ვააჰ, კაცოოო... განა ლამაზი, სუფთა, კოპწია და ნორმალური უნდა იყოსო? არაო, არ უნდა იყოსო და როგორცა სჩანს, ამიტომაც გამოდის ხოლმე ეს ქალი ტელევიზორში აწეწილ-გაწეწილი და შეშლილი.



ამასწინათ მაიამ პირდაპირ ეთერში თავკანტროლი ვეღარ გაუწია და მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა: თუ ვინმემ ამ ქვეყანაში გუნგლი იცით, დაგუნგლეთ, სერჩში "საავტორო გადაცემა" აკრიფეთ და... თუ ორი ღერი ინგლისური იცით, გაეცანით ყბადაღებულ "ბიბისის" და "სიენენს", გაიგეთ, რას ლაპარაკობენ იქაური ჟურნალისტებიო.

მას შემდეგ, რაც ვინმე მაიას მსახიობმა ანრი ბიბინეიშვილ-ჯაყელმა სამართლიანად შეუკიკინა, იგივე მაიამ გაოცებულმა იკითხა: განა ტანკლი, ტუნკლი და თხის კურკლი ერთი და იგივე არ არისო? რასაკვირველია, თუ ტანკლი, ტუნკლი და თხის კურკლი ერთი და იგივეა, მაშინ ირაკლი ღარიბაშვილმა და ბერა ივანიშვილმა თანამდებობები უნდა დატოვონო.

ბოლოს და ბოლოს, თქვენ იცით, საავტორო გადაცემის ქონა რას ნიშნავს? დიახ, ქონა! – ასე განაცხადა მამულაშვილმა და იქვე დაამატა, თქვენ რომ გგონიათ, ერბო ქონია, ხოლო ქონი ერბოა, ეგრე არ არი, ერბო ერბოა, ქონი კიდე ქონიაო.

აბა, ეს იცოდით? პრინციპში, საიდან უნდა გცოდნოდათ?

თუ ვინმე ამ ქვეყანაში ორ ცალ ღერ ინგლისურსა ჰფლობთ, მაშინ იმის აზრზეც უნდა იყოთ, რას ნიშნავს ტანკლი, რას ნიშნავს ტუნკლი და რა კავშირი აქვს ორივეს თემურ ალასანიას დიდი ბაბუის ყურებიან ქუდთან!

როგორც ხედავთ, ლირიკულად გადავუხვიე... აბა, როგორ



შეიძლება, ამ უწიგნურთა საქციელი სერიოზულად განვიხილო? ქალმა გაუბერა, არაფრის გაგონება აღარ უნდოდა, ის მსახიობი, ანრი ბიბინეიშვილი აუხტა, ქალო, ამას რომ ამბობ, ბერაზე რომ ლაპარაკობ, ბარემ ისიც თქვი, თემურ ალასანია დედას რომ გვაგინებდაო. პასუხი არ გაინტერესებთ? უი, ჩვენ ახლა "ნაციონალებზე"



ვლაპარაკობთო? ჰა, რა დროს ეგააო? ალასანია როდის გვაგინებდა, ეგ ხომ ადრე იყოვო?

წარმოგიდგენიათ?!

ადრე იყოვო... თან არც მახსოვს, რომელ გინებას გულისხმობო? რა ალასანია, რის ალასანიაო? ქალმა თავი გამოიშტერა! არადა, ეგ არ იყო ადრე, ანუ 9 წლის წინათ, ან 10–12–13 წლის წინათ, ეხლა იყო, შარშან თუ შარშანწინ, თემურა ძია რომ ეუბნებოდა თავის დიშვილ მიხას, ქართველ ხალხს თავზე უნდა უქნა, სხვანაირად არ გამოდისო, მილიონ დოლარს მივცემ, ვინც ბიძინა ივანიშვილს გააგორებსო. მამულაშვილის მსგავს არსებებს



ვითომ ეს არ ახსოვთ – ეგ როდის იყო, როგორ გეკადრებათო? არა, ძალიანაც კარგად ახსოვთ, მაგრამ თემურა ძია თავზე რომ უშვრებათ, სიამოვნებთ.

მეგობრებო, ეს არ არის ჟურნალისტიკა, ეს არ არის ჟურნალისტობა, ეს არის უბედურება,



რომელიც მეტასტაზებად მოედო მთელ სფეროს. როგორც გაჭახიძე ამბობს, პოლიტიკაშიც იგივე ხდება და არც საზოგადოებაა მთლად ნორმალურ დღეში, მაგრამ ტელევიზია და პრესა მაინც სხვა რამეა, უფრო მეტად ჩანს და მოქმედებს საზოგადოების ცნობიერებაზე. ადრე ამბობდნენ ხოლმე, ჟურნალისტიკა საზოგადოების აღმზრდელიაო, შეიძლება ადრე იყო კიდეც, შეიძლება ეს ცოტა ხმამაღლა ნათქვამია, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის ერთგვარი მაფორმირებელი რომ არის, ეს ცხადია. არა, აქ შემეშალა, ჟურნალისტიკა (წესით) უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ხელშემწყობი, მაგრამ ვაი იმ საზოგადოებას, სადაც ჟურნალისტიკის მეტრებად ნიკა (ჩაჯვი) გვარამია, ნოდარა მელაძე, ინგა გრიგოლია და მათთანები ითვლებიან.

ამ დღეებში პროკურატურამ სასამართლოს მიმართა, "ტვ პირველში" შესვლისა და მასალების ამოღების უფლება მოგვეცითო. მიხას ხელისუფლებაც სწორედ ეგრე მიმართავდა ხოლმე სასამართლოს, გახსოვთ? ოღონდ მოსამართლე გივია იყო, თარგამაძე. შეიყვანდა ხოლმე გივია სარდაფში მოწყობილ თავის კაბინეტში რიგ-რიგობით ჟურნალისტებს და იქიდან ზოგი "პოლიტიკოსი" გამოდიოდა, ზოგი – "ბიზნესმენი", ზოგი ისევ ჟურნალისტი. ამ ჟურნალისტებს, რომლებსაც დღესაც ვხედავთ ეკრანზე და წესით, წინა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები უნდა იყ-



ვნენ "იმედის" დარბევის გამო, აშკარად ეტყობათ გივიას ხელი. არ დაგავიწყდეთ, ზოგიერთმა ე.წ. ჟურნალისტმა პოლიტიკაშიც შეიარა, საკრებულოშიც, პარლამენტშიც და აგერ, 2012 წლიდან ისევ დაბრუნდნენ ტელევიზიებში. რა, ტყუილს ვამბობ რამეს? ვიგონებ? ასე არ იყვნენ ინგა გრიგოლია და გიორგი თარგამაძე? ერთხელ, როცა გიორგის პარტია შეუქმნეს ("იმედში" შეჭრის შემდეგ) და პარლამენტში "განათავსეს", ვუთხარი: ავი ენები ამბობენ, რომ ამ საქმეში, ანუ შენი პარტიის შექმნაში ვანო მერაბიშვილის ხელი ურევია-მეთქი. რას ამბობ, როგორ გეკადრებაო? ვანოს დედაც, მიშას დედაც და გივიას დედაცო!

ჰა, ჰა, ჰა... კეზერაშვილი დაავიწყდა, უნდა ეთქვა, კეზერას დედაცო. შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა (2011 წელს გამოქვეყნებულ წერილში), ამასთან, ამ უპრინციპო და გაყიდულ ადამიანთან ვერ ვითანამშრომლებო. მაშინ ვიფიქრე, ბატონი ბიძინა ცოტა აჭარბებს-მეთქი. აჰა, ტიპი ავაზაკ კეზერაშვილის "პადელნიკი" ყოფილა.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, რაკი გადავწყვიტე, რომ არავითარი დანდობა აღარ უნდა იყოს, ამ მხრივ ძალიან ბევრი მაქვს სათქმელი და გასახსენებელი. იმის ნაცვლად, რომ ეს სულგაყიდული ვითომ ჟურნალისტები სოროებში ისხდნენ, აქეთ გვიკითხავენ მორალს!

მორალს-მეთქი, გაიგონეთ?!

ჰოდა, ამიტომაც, გაგრძელება შემდეგ ნომრებში იქნება ძალიან მწარე!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ვინ არიან ესენი – ქართველი ჟურნალისტები, თუ ქვეყნის ასაოხრებლად მტრის მიერ გადმოსხმული იდეოლოგიური დესანტი?

ჩვენთან ზოგიერთმა დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება სინდისისგან თავისუფლებად მიიჩნია და ეთიკური ნორმები, როგორც შემაწუხებელი აღვირი, ისე გადააგდო, რომ ახლა შლეგივით, აღვირახსნილი, გურულად ვიტყვი, უაზროდ დაშტიალობენ.

ამის ნათელი და თვალსაჩინო მაგალითი ქართული სატელევიზიო სივრცეა.

აბა, იქ მიდის თუ მიდის თავპირისმტვრევა.

ამასწინათ, ტვ-1-ზე „რეაქციაში“ გრიგოლიამ გამოაცხადა: „იმედს“ კატეგორიულად არ ვუყურებო.

მეც ძალიან მიჭირს, ქ-ნ ინგა, ტვ-1 და „მთავარის“ ყურება, მაგრამ, როგორც ჟურნალისტი, ბავშვობაში „რიბი ჟირს“ რომ გვასმევდნენ, ისეთი ძალდატანებით ვუყურებ ხანდახან ტვ-1-ს, რადგან მუდმივად რომ ვუყურო, ვიცი, ნერვები ძალიან გამიფუჭდება და თავს ვუფრთხილდები.

ხოდა, ინგა გრიგოლიამ ამასწინათ, თავის, როგორც თვითონ თვლის, კრიტიკულ, სინამდვილეში კი, აშკარად მიკერძოებულ მედიაგარემოში მიწვეულ თანამოაზრეებთან ერთად „იმედის“ გადაცემა დაგმო – წამყვანები თვალებში შესციცინებდნენ ბერას და აუდიტორიასო, ირონიული ბოლმით შეაქო იქაური ჟურნალისტები და ტაშს შემოჰკრა.

ჩემს ტვინს აშკარად „რესტარტი“ სჭირდება, რავა ყველაფერი ახსოვს?! მათ შორის, 2007 წელს „იმედის“ დარბევა და ატირებული, ნაცემი, დარბეული და დატერორებული ჟურნალისტები.

გრიგოლიას მაშინ არც ტაშის შემოკვრის თავი ჰქონდა და არც როგორც ახლა – თვალების ქაჩვის – მიშა იყო „იმედის“ კარზე მომდგარი, დუჟმორეული...

სად უკრავდა მაშინ და ვის უკრავდა ტაშს, სად, რომელ ეთერში გაჰყვიროდა მედიის ჩაგვრაზე, თავისი თავი ქართული მედიის საკუთარი ძუძუთი გამომზრდელ დედად რომ მიაჩნია და მაღლიდან რომ გველაპარაკება?!. ან იგივე ნოდარ მელაძე და სხვა „მელაძუები“, ეს ვითომ ჟურნალისტები, სინამდვილეში, ხან მიშას, ხან – გრიშას ბოლმის მატერიალიზატორები, როგორც ქვევრებს, რასაც ჩასძახებენ, იმას რომ ამოიძახებენ.

ბერა ივანიშვილის ჩანაწერიო, აღშფოთებული იყო ქ-ნ ინგას აუდიტორია, ეს სადისტები და მანიაკებიო. ბერას ჩანაწერზე რომაა აღშფოთებული ეს ვითომდა ელიტარული და ხელშეუხებლად თავმიჩნეული მედიასივრცე, ნეტა, მაშინ რატომ არ უძღვნიდნენ აღმაშფოთებელ გადაცემებს, როცა გამომცემლობა „სამშობლოდან“ ასობით ჟურნალისტი ქუჩაში გამოგვყარეს სააკაშვილის ზონდერებმა და კოსტავას ქუჩაზე დაყრილ ნაწერ ფურცლებს რომ დავდევდით ქუჩა-ქუჩა ჩვენ, თქვენი კოლეგები, გრიგოლია და გრიგოლიას სტუმრებო, სად იყავით მაშინ? მაგრამ თქვენ მაშინ სოლიდარულები რატომ იქნებოდით, ჩვენ ხომ თქვენ კოლეგებად არ მიგაჩნივართ, რადგან სხვის დაკრულზე არ ვცეკვავთ და არ გვიმღერია.

ეს როგორო, აბა, ჩვენ ვის „დაკრულზე ვმღერითო“? – იკითხავთ.

ამასწინათ არქივში რაღაცას ვეძებდი და 2007 წლიდან 2012-მდე „საერთო გაზეთის“ ნომრები გადავათვალიერე. აი, ამას ჰქვია უკომპრომისო და უშიშარი ბრძოლა და არა იმას, ზოგიერთები სხეულის უკანა, განსაკუთრებულად გასქელებულ ადგილებს რომ აქანავებთ ვიღაც დორბლიანისთვის თავის მოსაწონებლად, ფულის გადმოსაგდებად რომ მერე ისევ კურტუმოები ისქელოთ.

ქართული ე.წ. ოპოზიციური მედიასივრციდან ხან „ჯანგოს“ კანტორა „კავკასიიდან“, ხან – ნიკუტას „მთავარიდან“, ხან – „პირველიდან“ (დააკვირდით დასახელებებს – „პირველი“, „მთავარი“. ყველას პირველობა და მთავარობა რომ უნდა) მუდმივად ისმის მოწოდებები დამხობისკენ, რევოლუციისკენ.

ეს არ არის მედია. ეს არ არის დემოკრატია. და საერთოდ, ეს არაფერი არ არის. ეს არის საღამოს, საჭიროკნოდ თავშეყრილ, რაღაცით დაუკმაყოფილებელ დაბოღმილ დედაკაცთა და „ქალოია“ კაცთა ჭორაობის საჯარო ჩვენება, რომელიც უკვე ყელშია ამოსული.



გასულ კვირას ლევან მამალაძემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა დამაჯერებელი ცნობები, სააკაშვილი ნოდარ მელაძის და მისი გადაცემის ჟურნალისტის ლიკვიდაციას გეგმავსო.

საკმაოდ მშვიდად შეხვდა ამას სატელევიზიო მედია, თვით ნოდარ მელაძეც არ შეწუხებულა დიდად, რაც იმის ეჭვს აჩენს, ხომ არ იცოდნენ მამალაძეზე გაცილებით ადრე ეს ამბავი, როგორც ნიკოლოზ გვარამიამ, ხალხში „ნიკუტად“ წოდებულმა, რომელმაც მოგვიანებით გამოაცხადა, მისი ტელევიზიის ერთ-ერთი წამყვანის გიორგი გაბუნიას მკვლელობას რომ გეგმავდა რუსეთი — ეს მე კარგა ხნით ადრე ვიცოდიო. სამართლებრივ მხარეზე აღარ შევჩერდები, რომელიც დანაშაულის დაფარვას გულისხმობს. აქ სხვა რამეა საკითხავი: გაბუნიას მკვლელობა თუ ჰქონდა რუსებს ჩაფიქრებული, რატომ ვერ მოახერხეს, მსოფლიო დაზვერვის კორიფე ნიკუტასი შეეშინდათ და უკან დაიხიეს, თუ გაბუნიასი, ენის მოჩლექვით, საყვარლად რომ გველაპარაკება „ვაჟკაცი გაბუ“ ტელეეკრანიდან? რუსეთის უშიშროებამ და დაზვერვამ თურმე გაბუნიას ლიკვიდაცია ვერ შეძლო... ჰაჰააა, რუსებს გაბუნიას ლიკვიდაცია რომ სდომებოდათ, ისე მიალიკვიდაციებდნენ, გაბუსგან ბუნდღაც არ დარჩებოდა.

აი, მიშას კი ნამდვილად ექნებოდა ასეთი განზრახვები, რადგან არაერთხელ ჩაუდენია მსგავსი რამე. ჯერ ციხეებში, ქუჩებში უდანაშაულო ყმაწვილების ხოცვით, სამეგრელოს ტყეებში ადამიანების წამებით, თავისი მეგობრის და თანამებრძოლის ზურაბ ჟვანიას მკვლელობაში ეჭვმიტანილობით, „დაუცველ“ ჟურნალისტებზე ზეწოლით, ქვეწოლით და სექსუალური შეურაცხყოფებით დამთავრებული.

რომ გითხრათ, აღარაფერი მაკვირვებს-მეთქი, არ ვიქნები მართალი, ცხოვრება ისე სავსეა პარადოქსებით. მათ შორის ის, თუ რას ელიან, რას აპირებენ და რას მოელიან ხვალინდელი დღისგან ეს ე.წ. ჟურნალისტები.

რა უნდათ?!

მშვიდობიანი რევოლუცია და როგორც თვითონ ამბობენ, ამ გზით ხელისუფლების შეცვლა, რითი და ვისით ცვლიან – მელია-ბოკერია-ბარამიძე-უგულავა-მაჭუტაძე-ნათელაშვილ-ბურჯანაძით, ხოლო მედიაჰეგემონებად ნიკუტა-მელაძე-გრიგოლია-„ჯანგო“-გაბუნია-ჟიჟილაშვილით?

ეს მართლა დემონი მიშა, როგორც ჩანს, კვლავ არ ანებებს თავს იმ ადამიანებს, რომლებიც ისევ მისი ფსიქოლოგიური ტერორის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ეს არის მიჯაჭვულობა მწამებლისადმი, მაზოხისტური თვითგანცდა. ეს არის სინდრომი, დაავადება, ეს არის ისტერიკა, ასეთ ავადმყოფობაში მყოფ ხალხს ე.წ. „რბილი“ სახელმწიფო ძალა, ანუ ცხოვრების და განვითარების ნორმალური მდგომარეობა არ აკმაყოფილებთ და არ მოსწონთ.

და სახეზეა შლეგი სააკაშვილის კიდევ ერთი და დიდი დანაშაული, რომელსაც ხან იყენებენ, ხან – თავად დგამს სპექტაკლებს საკუთარი თავის გამოსაჩენად, რომ არ დაავიწყდეთ მსოფლიოს პოლიტიკურ მოთამაშეებს, ეს მავნებლობის დაუღალავი გენერატორი, რომელიც ისტორიაში შევა, როგორც უსამშობლო კაცუნა – გლობალისტების სათამაშო ტიკინა.

მიშა ველარ და აღარ დაბრუნდება, ასაკობრივი პრობლემებით და ახალგაზრდული თავქარიანობით გონებადახშულო ზოგიერთო მოჟურნალისტო და არამოჟურნალისტო მოექსპერტო და მოპოლიტიკოსო ელემენტებო!

მესმის, რომ მძიმე მემკვიდრეობისგან გათავისუფლება ადვილი არაა, მაგრამ რეალურად შეხედეთ დღევანდელ დღეს – იმ კოშმარიდან მართლაც დამოუკიდებელ, უსაფრთხო საქართველოში რომ გაგელღვიძათ 2012 წლის 31 ოქტომბერს, მესმის, რომ ისევ სიზმარი გგონიათ, მაგრამ არაა სიზმარი. ქვეყნის შიგნით თავისუფლება არის, ბატონებო და ქალბატონებო და საკუთარი თავის ჭამას თავი დაანებეთ – სასარგებლო რამე აკეთეთ მომავლის საქართველოსთვის.

სტოკჰოლმის სინდრომით დაავადებულო ქართული სატელევიზიო მედიის ზოგიერთო წარმომადგენელო, რა გინდათ თქვენ: მოვიდეს სააკაშვილი – დაგარბიოთ, გაწამოთ, ამოგხოცოთ?

მართლა მაზოხისტები ხომ არ ხართ, თქვე უბედურებო, „ქართულ ოცნებას“ იმაში რომ ადანაშაულებთ, ზედმეტი ტ.. თამაშის უფლებას რომ გაძლევთ და როგორც გინდათ, ისე რომ დაპარპაშობთ ნაძარცვ-ნაყაჩაღარი ფულით გახსნილ მედიასივრცეში?! რა აღგზნებადობა დაგემართათ ისეთი, მოძალადე დამაოკებელი რომ გინდათ მაინცდამაინც... თუ მართლა მტრები და მტრებთან შეკრულები არ ხართ, რომელ დასავლეთს და რომელ აღმოსავლეთს აწონებთ თავს მუდმივი დაძაბულობის ჩვენებით, ვითომ თავის გამოჩენით, დემოკრატობანას თამაშით.

ნეტა იცოდეთ, რა სასაცილოები ჩანხართ შორიდან.

ნეტა იცოდეთ, რამდენს დაგცინით ცივილიზებული სამყარო და თანამედროვე მედია მსოფლიოში?!..

თვითლიკვიდაციის რეჟიმი ჩაგერთოთ, თქვე უბედურებო?!

რაღაცა რომ გინდათ, ვხვდებით, მაგრამ რაა ის რაღაცა, რაც არ გასვენებთ და სინამდვილეში, ნორმალური ადამიანების ენაზე, საბოტაჟი, რევოლუციის მცდელობა, სამოქალაქო დაპირისპირება და პირდაპირი მტრობა რომ ჰქვია?!

ისეთი რა შხამი გასვეს, რა ჩიპი ჩაგიყენეს, რა ფულზე და რა პრივილეგიაზე გაყიდეთ ქვეყნის სიმშვიდე და სტაბილური განვითარების შესაძლებლობა?!

სალაპარაკო და საკრიტიკოზე მეტი რა აქვს ხელისუფლებას. ისეთი ხელისუფლება ხომ ბუნებაში არც არსებობს, რომელსაც საკრიტიკო არ აქვს და საქმეზე რომ ილაპარაკოთ, იმის მაგივრად, მტრის გულის გასახარად, ერთმანეთს ღრღნით, ეთერებიდან ხალხს ერთმანეთს აჭმევინებთ, თავად კი იმავე ეკრანებიდან მუშტებს იქნევთ.

ესაა თქვენი ჭკუით დემოკრატია და თანამედროვე აზროვნების სიღრმე და სიმწიფე?!

ესაა ფსიქიატრიული კლინიკა!

30-წლიანი ტანჯვის, სავალი გზების ძიებით დაღლილ, სისხლდამშრალ, შვილებდაკარგულ, გზადაბნეულ ქვეყნას უფსკრულისკენ რომ უბიძგებთ და ამას გაყიყინებული მუცლებით, თვითკმაყოფილი იერით ფუფუნებაში ჩაძირულები რომ ლაპარაკობთ, ნერვიც არ გიტოკდებათ?

სამართალი ურმით დადის, ქვეყანაში სამართალი აღარაა, თქვენი გამკითხავიც აღარ დარჩება აქ, ისე შეაძულეთ ახალგაზრდასაც და ძველგაზრდასაც ამ ქვეყანაში ცხოვრებაც და რაოდენ სამწუხაროა, რომ ცოდვის ეს ტვირთი ქართული სატელევიზიო მედიის კისერზეა...



**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ჭაობში დაგეგმილი ავანტიურა ივანიშვილების წინააღმდეგ

უთუოდ ასე იქნებოდა. ამბობენ, რომ ასე იყო. ამას წინებზე, ზუსტად არ ვიცი, რომელ დღესა და საათსა თუ წუთსა (მაგას არც აქვს მნიშვნელობა), აქედან, საქართველოდან გაქცეულმა შარლატანმა, უკრაინის დედაქალაქ კიევში წამოკოტრიალებულმა ავაზაკმა მიხეილ სააკაშვილმა დაურეკა აშშ-ის უდიდეს ქალაქ ნიუ-იორკში ჩამპალ ბიძას, თემურ ალასანიას და სთხოვა — მანდ, სკივრში ფარული ჩანაწერები რომ გაქვს, ხომ არაფერი მოგვეპოვება ბიძინას ოჯახზე და ირაკლი ღარიბაშვილზეო?

ჩამპალმა ბიძამ ჰკითხა, რათ გინდა, რას აპირებო?

სკანდალი უნდა ავწიო, შავღონდი, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, სახლში მინდა, დედა და სამშობლო მომენატრაო, ყვარლის ვენახიც მომენატრა, ლამის არი, გავგიჟდეო. გეგონება კაი ხნის გაგიჟებული არ იყოს.

რავი, ვნახავ, შეიძლება რამე იყოსო, მიუგო ბებერმა ქოფაკმა.

რავი კი არა, ნამდვილად ნახე, მახსოვს, ღარიბაშვილისა და ბერას ჩანაწერი შევინახე, ბალღების დაშინებაზე ლაპარაკობენ, მაგათი დაცვის ყოფილი უფროსი ანზორ ჩუბინიძე დადიოდა ხოლმე და ვიღაც ბალღებს აფრთხილებდა, ბერას "ფეისბუქში" ნუ აგინებთო. ეგ ჩანაწერი ვანო მერაბიშვილმა 2011-ში მომიტანა, სუ დედა ვაგინე, ეს რა ჩემ ფეხებად მინდა, რა ვუყო-მეთქი? რავი, შეიძლება დადგეს დრო და გამოგადგეს, ოჯახი ხრამია, ეგდოს, რა იცი, რა ხდებაო?

ნახა ნიუიორკელმა ბიძამ თავის შავ სკივრში ჩანაწერი, 15 წლის ბერა ეუბნება ანზორ ჩუბინიძეს, დაცვის უფროსს, რა ქენი, ის ტიპი ნახე, მე რომ მემუქრებოდაო? ჰო, ვნახე, ბალღია, მშობლებს დაველაპარაკე, პრობლემა არ არიო. ჩანაწერში ისმის ირაკლი ღარიბაშვილის ხმაც, რა არი ესა, როგორ შეიძლებაო? ბიძამ "ფლეშკა" შეურჭო ლეპტოპში და როგორც იტყვიან, გადაუგდო მიხეილ სააკაშვილს, თავის დიშვილს. თან მისწერა, ემანდ ისეთი არაფერი ჩაიდინო, სტრატეგიული პარტნიორები გააბრაზო და რაც მთავარია, ჩვენი პატრონები გააბითურო, ხო იცი, ვალოდიას უკბილო ხუმრობები არ უყვარსო.

არაო, უპასუხა დიშვილმა, ნოდარა მელაძეს გავუგზავნი და იცის, როგორც უნდა მოიქცესო, ამ ხელისუფლების დრო ამოიწურა, "ვსიო", მორჩა და გათავდაო.

რავი, 2013 წლის შემდეგ სუ ეგრე იძახით.

არა, მაშინ ეგრე არ ვიძახდი, ეხლა სხვანაირად ვიძახი, უფრო დამაჯერებლადო.

ავი ენები ამბობენ, ჩანაწერი მიხოს დამპალმა ბიძამ კი არ მისცა, თვითონ ჰქონდა მშია ბაბოს მიერ დანატოვარ სკივრშიო. ეს ის სკივრია, ბაბომ რესტორნის მოწილეობიდან მოგროვილი ფულით რომ იყიდა და შიგ ოქროს უზალთუნებიც განათავსა. ეს უზალთუნები მიხამ ოფშორებში გადაიტანა, ხოლო სკივრს კიდე ფარული ჩანაწერების შესანახად იყენებსო. ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება... თუმცა არა მგონია, სააკაშვილმა ეგეთი "ბომბები" ჩვენგან ასე ახლოს შეინახოს, თანაც უკრაინაში... ჩემი ღრმა რწმენით, მშია ბაბოს სკივრი ნიუორკშია გადატანილი თემო ძიას "პადვალში". არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება და რასაკვირველია, ამასაც აქვს არსებობის უფლება: ეგ ჩანაწერიო, რომელიც ნოდარა მელაძემ დაამონტაჟა და "ჭუტავიზიის" ეთერში გაუშვა, მაგასთან "ქართული ოცნებიდან" ან გაქცეულმა, ან გაგდებულმა მიიტანაო. ჩვენი ინკოგნიტო წყარო ვიღაცების გვარებსაც ასახელებს, მაგრამ რაკი ჯერ დამტკიცებული არაფერია და ჩვენც წესიერი დემოკრატები გახლავართ, ამ ეტაპზე არ გამოვასაჯაროვებთ.



მოკლედ, ასეა თუ ისე... იმნაირად ჩაიგდეს ხელში 2011 წელს ფარულად ჩაწერილი "კომპრომატი" თუ ამნაირად, საზოგადოებას მაინც მოასმენინეს ერთი მიზნით: ამათ, ამ ჩერჩეტებს ეგონათ (მეტი ტვინი რომ არ აქვთ ფუღურო თავებში), როგორც კი ადამიანები ბერას, ირაკლის და ანზორის "საშინელ" საუბარს მოისმენდნენ, ქუჩაში გამოცვივდებოდნენ, ხელისუფლებას დაამხობდნენ, სოლოლაკში ავარდებოდნენ, ბიძინას სასახლეს წალეკავდნენ, ჭორვილაში გავარდებოდნენ, იქაურობას გადაბუგავდნენ, მერე უკრაინაში ჩაცვივდებოდნენ, მიშას აიტატებდნენ, "ფიფრინავში" ჩასვამდნენ და თბილისში ჩამოიყვანდნენ.

ჰა, ჰა, ჰა!

გახსოვთ, ედუარდ შევარდნაძე რომ ჩამოიყვანეს, აეროპორტში ვარდებით რომ დახვდნენ?!

ჰო, ეგეთ რაღაცას აპირებდნენ... პრინციპში, აპირებდნენ კი არა, ეგონათ, ისევ ისე მოხდებაო, მერე ივანოვიც ჩამოვა და სიტუაციას დაალაგებსო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ამ ჩემის გადანგრეულებს, მართლა 90-იანებში ჩარჩენილებს, არც ხალხი გამოვარდა ქუჩაში, არც ივანიშვილი ჩამოვიდა სიტუაციის დასალაგებლად და არც არაფერი, ხალხმა უბრალოდ ბევრი იცინა, ამათი რევოლუცია არ გაიშვაო!



●

**ტელეკომპანია "იმედის" ეთერში გავიდა ბერა ივანიშვილის ინტერვიუ:**

„ეს ხდებოდა 2011 წლის ზაფხულს, მე მაშინ ვიყავი 15–16 წლის და ეს ჩემთვის შოკისმომგვრელი მოვლენა იყო. მანამდე ჩემს ცხოვრებაში მსგავსი წყევლა-კრულვა, შეურაცხყოფა მუქარები ჩემი და ჩემი ოჯახის მისამართით არ ყოფილა. ამ ისტორიაში ჩემთვის ყველაზე შემაშფოთებელი იყო ჩემს გულშემატკივრებზე, 10–11 წლის ბავშვებზე მასობრივი, 100–200-კაციანი ჯგუფების თავდასხმა. იქ იყო მუქარა, საზიზღარი, პორნოგრაფიული სურათები. ამ ბავშვებს წერდნენ, სახლებში მოგაკითხავთ და ბერა ვერ დაგიცავთ, ბერას კიბო აქვსო. ისეთ საზიზღრობებს ამბობდნენ, რომ მე ეთერში ვერ გავიმეორებ. ამაზე რამდენიმე ბავშვის მშობელს ადეკვატური რეაქცია ჰქონდა. ისინი დაგვიკავშირდნენ ჩვენ და ჩვენ ვალდებულები ვიყავით, გადაგვეცა ეს დაცვის სამსახურისთვის, რომელმაც ყველა კანონის, მორალისა და ეთიკის დაცვით მოინახულა ეს ადამიანები. იმ ჩანაწერებშიც გარკვევით ისმის, რომ როდესაც საუბარი მიდის არასრულწლოვან ადამიანზე, ამას ესწრებიან მისი მშობლები, მეზობლები და ა.შ. ეს იყო მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება თუ დარიგება. თუ ვინმე დედას შემაგინებს და თუ ვინმე ჩემს ოჯახს შეეხება, მე ასეთ ადამიანს აუცილებლად პასუხს მოვთხოვ დღესაც. ერთი ქართველი კაცი მაჩვენეთ ვინც ამ საკითხზე სხვა აზრისაა".

როგორც ხედავთ, სრულიად ნორმალური მსჯელობაა — იყო შეტევა, შეურაცხყოფა, მუქარა და ამ ყველაფერზე საჭირო გახდა რეაგირება. აქ ერთი მომენტია საინტერესო — ეს ჩანაწერი გაკეთებულია მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ არ ფიქრობდა პოლიტიკაზე. შეიძლება ფიქრობდა, მაგრამ არავისთვის არ იყო ცნობილი. თუნდაც ყოფილიყო ცნობილი, რატომ უსმენდნენ 15 წლის ბერას? ამაზე წარაკუა ჟურნალისტებს არ აქვთ რეაქცია, მათი აზრით, ამ ამბავში სასკანდალო მარტო ის არის, ბერა ივანიშვილმა რომ თავდაცვა გადაწყვიტა კანონიერი წესებით. არაო, ქვეყნის მმართველის შვილმა ეს როგორ და რანაირად იკადრაო? ჯერ ერთი, 2011 წელს ბერა არ იყო ქვეყნის მმართველის შვილი და მეორეც — თუნდაც ყოფილიყო, ეს ვინმეს აძლევს იმის უფლებას, გამოვიდეს და აგინოს, ან კიდევ სიკვდილით დაემუქროს? არა, ამაზე დოღრიალა ინგა გრიგოლიას რეაქცია არ აქვს, მარტო იმაზე ხვიხვინებს, ბერა ღამ-ღამობით ბავშვებს ჭამსო, ამით მომავალი თაობის უფლებები ირღვევაო. როცა ინგას შეტყობინება გაუგზავნეს, შენი პირადი კოტრიალის ვიდეო უნდა გამოგიქვეყნოთო, პირდაპირ ეთერში კვნესოდა ხოლმე, მიშველეთ, ეს საქმე გამოიძიეთო. ახლა არა, მიხოს ხელის ბიჭები რომ ბერას იწერდნენ, ეს თურმე პირიქით ყოფილა, არ უნდა გამოიძიონ.

როგორც ველოდი, ამ შემთხვევაშიც სცადეს დამპალი თესლით გაკეთებულებმა სიტუაციის ამოყირავება. მაგალითად, წინა ხელისუფლების "გებელსის", გიგა ბოკერიას პოზიცია ასეთია: "უკანონო მიყურადება წლების განმავლობაში "ქართული ოცნების" პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენდა, ხოლო ახლანდელი მათი რეაქცია გავრცელებულ ჩანაწერებზე, მათ მორიგ პოლიტიკური განაჩენს წარმოადგენს".

არა, მეგობრებო, ნამდვილად არ გეჩვენებათ, სწორედ ასე თქვა ბოკერიამ, უკანონო მიყურადება წლების განმავლობაში "ქართული ოცნების" პოლიტიკურ იარაღს წარმოადგენდაო.

დიახ, ეს თქვა ბოკერიამ, სულხან მოლაშვილის მკვლელმა!

ჰო-მეთქი, ბოკერიამ, ციხის ბუნტის მომწყობმა და საკნებში პატიმრების ჩამცხრილავმა!

მკვლელმა ბოკერიამ თქვა, "ქართული ოცნება" წლების განმავლობაში გვისმენსო, კასრებში რომ ფარული ჩანაწერები ნახეთ, ეგეც "ოცნების" გადაღებული იყოო, "იმედშიც" "ოცნება" შევარდაო... მოკლედ, ამ დეგენერატების მიერ შემუშავებული ტაქტიკა "ჩემი შენ გითხარი"-ს მოტივებზე, აღარ ჭრის, ამაზე მოსახლეობა იცინის. მერე გამოდიან და მოსთქვამენ, ხალხი ქუჩაში რატომ არ გამოდისო? ფოთში მაჟორიტარობა რომ მინდოდა, ხმა რატომ არ მომცესო? ნულპროცენტიანი რათა ვარო?!




სანამ ამ წერილის წერას დავასრულებდი, ირაკლი ღარიბაშვილმაც გააკეთა განმარტება:

"პირველი კითხვა, რაც მაქვს, რატომ მისმენდნენ მე, როგორც კერძო პირს? რატომ უსმენდნენ 15 წლის არასრულწლოვან ბერა ივანიშვილს? დანაშაულზე არ შეიძლება იყოს საუბარი მაშინ, როდესაც არ არსებობს დაზარალებული. მაშინ არც პოლიტიკა არსებობდა, არც პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება", არც ბიძინა ივანიშვილი არ იყო პოლიტიკაში ჩართული. შესაბამისად, ეს ორმაგად ამძიმებს ამ ბრალდებებს და აღნიშნული ფაქტიც იმის დემონსტრირებაა, რომ ყველანი ვიყავით ტოტალური მოსმენების მსხვერპლი. ეს არის გამოსაძიებელი, რატომ იყო მოსმენა, რატომ გაასაჯაროვეს ფაბრიკაცია და დამახინჯებული სიყალბე ჩვენი უამრავი საუბრების".

ამის შემდეგ მიხეილ საკაშვილიც გამოეთრა და ისაო... ჩემ დროს ეგეთი რაღაცები არ ხდებოდა, გარეთ ერთი ჩანაწერიც კი არ გამოსულა, მსგავსი არაფერი დადებულაო.

სააკაშვილმა თქვა ესა, სააკაშვილმა, მიხომ!

27 ათასი ფარული ჩანაწერის მთავარი პროდიუსერი იძახის, ჩემ დროს ეგეთი რაღაცები არ ხდებოდაო. არადა, ეს ჩანაწერი 2011 წელსაა გაკეთებული, სწორედ მის დროს, მისი ზეობისა და მისივე ზნეობის დაცემის პერიოდში.

და ბოლოს!

მჯერა, ვხედავ, მესმის და დარწმუნებული ვარ, დღეს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელი ნაწილი ბიძინა ივანიშვილის ოჯახს არა მხოლოდ უთანაგრძნობს, იგივე ნაწილი ქვეყნის დასაცავად არის მზად. ჩვენ არ დავუშვებთ, მოღალატეებმა თავიანთ საწადელს მიაღწიონ, ეს არ მოხდება, ვერ მოხდება, არ გამოვა... ეს ყველაფერი ჭაობში იგეგმება და ჭაობშივე რჩება.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# გინდათ გაგახაროთ– გიორგი გახარიას პარტია დაუფუძნებია, მაგრამ ჩვენ გვიმალავს

## თამარ დედოფალი (ჩარკვიანი) „სტრატეგია აღმაშენებლიდან“ მიდის, სამაგიეროდ, გიორგი ჭყონდიდელი (გახარია) მოდის!





ორი ახალი ამბავი გვაქვს და ორივე სასიხარულო: თამარ დედოფალი (ჩარკვიანი) „სტრატეგია აღმაშენებლიდან“ მიდის, სამაგიეროდ, გიორგი ჭყონდიდელი (გახარია) მოდის!!!

ჯერჯერობით ეს ორი ახალი სასიხარულო ამბავი ბოლომდე დაზუსტებული და გადამოწმებული არ არის, მაგრამ ხომ გაგიგონიათ: „ტაშტი დავარდა, ხმა გავარდაო“.

ჰოდა, ბედი არ გინდა? ეს ტაშტი მაინცდამაინც ნიკუტა გვარამიას დაეცა თავზე და ისეთი ხმა გავარდა, მთელ საქართველოს მისწვდა.

— რომელიღაც სოციოლოგიური კვლევის ცენტრმა, რომელიც შემთხვევითი შერჩევის წესით ატარებდა გამოკითხვას, დამირეკა და სხვა მრავალ კითხვათა შორის ერთი ასეთი მოულოდნელი კითხვაც დამისვა: რას იტყოდით გიორგი ვაშაძის „სტრატეგია აღმაშენებელმა“ გიორგი გახარიას პარტიასთან რომ ითანამშრომლოსო?

მე რა ვუპასუხე ამ კითხვაზე, სხვა ამბავია, მაგრამ აქ საინტერესო ის არის, რომ გიორგი გახარიას პარტია დასახელებული იქნა, როგორც უკვე არსებული პარტია. გამოდის, რომ ასეთი პარტია უკვე არსებობს? — დაახლოებით ასეთი შინაარსის განცხადება გაავრცელა ბატონმა ნიკუტამ, რასაც მყისიერად მოჰყვა ჟურნალისტური „გამოძიება“ და დადგინდა, რომ ეს სოციოლოგიური კვლევა „სტრატეგია აღმაშენებელმა“ ჩაატარა.

— იცოდით თქვენ ამის შესახებ? — ჰკითხა ჟურნალისტმა თაკო ჩარკვიანს.

— არაფერი არ ვიცოდი... ისე გავიკითხ-გამოვიკითხე და ასეთი კვლევა მართლაც ჩაუტარებიათ. გაოგნებული ვარ, გაოგნებული! — უპასუხა ქ-ნმა თაკომ და თვალები ავად დააბრიალა.

როგორც გავიგეთ, „გაოგნებულ“ თაკოს დიდი „შუმოკი“ აუწევია პარტიაში — ღალატია ეს, ჩემს ზურგს უკან, ჩემგან მალულად ასეთი რამ როგორ გააკეთეთ? რა გახარია, რისი „თვალთხარია“? თქვენ ხომ არ გააფრინეთ? დაგავიწყდა, ჩემო გიორგი, მე რომ დაგასახელე პრემიერ-მინისტრად? შენ რომ ვერ ლაპარაკობდი, შენს ნაცვლად მე ვლაპარაკობდი. შენს ნაცვლად მე მივდიოდი წინა ხაზზე და დარტყმებს მე ვიღებდი საკუთარ თავზე. გახარიაში გამცვალეთ? ჩემი ფეხი არ იქნება აქ, მივდივარ აქედანო, — უთქვამს ქ-ნ თაკოს, თუმცა „აღმაშენებლები“ კარებში ჩადგომიან და არ გაუშვიათ, მაგრამ თაკო რისი თაკოა — ერთი თუ აიწყვიტა, მერე მისი შეჩერება შეუძლებელია.

რაც შეეხება გახარიას, ცხადია, მასთან შეთანხმების და დათათბირების გარეშე მისი სახელი და გვარი ამ გამოკითხვაში ვერ მოხვდებოდა.

თუ მართალია ეს ყველაფერი და გიორგი გახარია თავისი მომავალი პარტიით გიორგი ვაშაძესთან ერთად აპირებს ახალი პოლიტიკური ცენტრის თუ კოალიციის შემნას, ვფიქრობთ, ეს მისი მხრიდან დიდი შეცდომა იქნება.

საქმე ის არის, რომ გიორგი ვაშაძე ერთი ჩვეულებრივი პოპულისტია, რომელსაც ფუტურისტულ-უტოპიური იდეები აწუხებს.

სწორედ ამის გამო ვერ შეძლო მან სტაბილური პოლიტიკური გუნდის ჩამოყალიბება და ელექტორატის დარწმუნება, რომ საქართველოს სწორედ ის მიიყვანს ტაძრამდე.

ვაშაძე მუდმივ ლავირებაშია — ხან აქეთ გადმოიხრება, ხან იქით გადაიხრება, დღეს რომ აქ არის, ხვალ იქ არის, ზეგ კიდევ სხვაგან ამოყოფს თავს.

გიორგი ვაშაძე რაღაცით ჰგავს შალვა ნათელაშვილს — ისიც ნათელაშვილივით გვეძალება, რომ ერთხელ მაინც ჩავაბაროთ ქვეყნის ბედი და მერე მან იცის — თაკოსთან და თეონასთან ერთად ერთ წელიწადში აგვაშენებს და აგვაყვავებს.

აი, ამ ვაშაძესთან აპირებს გიორგი გახარია მისვლას?

ჭკვიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა ბატონი გახარია და, როგორც ჩანს, ვერ ყოფილა მთლად ისეთი ჭკვიანი, ჩვენ რომ გვეგონა.

ცდება პატივცემული გიორგი თუ ფიქრობს, რომ მისი ფანები ვაშაძესთანაც წაყვებიან.

ამ ადამიანებს ვაშაძესთან რომ სდომოდათ ყოფნა, გახარიას შუამავლობის გარეშეც წავიდოდნენ მასთან და ახლა უკვე იქ იქნებოდნენ.



შეცდომააო, ვთქვით, გახარიას ეს განზრახვა, თუმცა ეს ჩვენ ვფიქრობთ ასე, თორემ გახარიას გადმოსახედიდან, შეიძლება, სულ სხვაგვარად მოჩანს ყველაფერი.

კაცმა რომ თქვას, რა სჯობია ბრეგვაძეებში, პარდონ, ვაშაძეებში ქეიფს — ცოტა იქით, ოპოზიციაში იქნები, ცოტა აქეთ, ჩხარტიშვილთან, ანუ „ქართულ ოცნებასთანაც“ იქნები, მარცხენა თვალს დასავლეთს ჩაუპაჭუნებ, მარჯვენას — რუსეთს და ვერავინ გაიგებს, სინამდვილეში, ვინ ხარ, სად ხარ და რა გინდა.

**დავით ქავთარია**

# ნატო ძალოს სიზმრები





ნატო ჩხეიძეს იცნობთ. მას ჩვენგან საგანგებო წარდგენა არ სჭირდება – მუდამ ზის პარლამენტში, ზის, ზის და ზის. მას არასოდეს ირჩევენ, ყოველ ოთხ წელიწადში რომელიმე პარტიაში მიაქვს რამდენიმე მილიონი დოლარი, ეწერება გამსვლელ სიაში და ჰაეეე, სულ დეპუტატია. წინა მოწვევის პარლამენტში “პატრიოტთა ალიანსიდან” შევიდა, მანამდე ასლან აბაშიძის გარშემო დასუნსულებდა ქმართან, ზაზა ოქუაშვილთან ერთად, ეხლანდელში კიდევ (უარს რომ ამბობს) “ნაცხროვიდან” უნდა შესულიყო. ფული “მეშოკით” დააქვს, ბანკებს ვერ ენდობა, მაგის ქმარს ბიუჯეტის ვალი აქვს 55 მილიონი დოლარი თუ ლარი და ეგრევე დაუყადაღებენ. საერთოდ, ამ ჩხეიძეებსა და ოქუაშვილებს ეგეთი წესი აქვთ, ბიზნესების კეთება უყვართ, თუთუნის შემოტანა-გაყიდვა, რამე, რუმე, მაგრამ ბიუჯეტში ფულის გადახდა არ უყვართ – თვლიან, რომ ეს წყალში გადაყრილი ფულია.

ნატო ძალო, რომელიც მოსკოვის ხშირი სტუმარია ხოლმე და ქმარიც რუსეთის მოქალაქე ჰყავს, ამ არჩევნების შემდეგ უცებ გადაკეთდა – პროდასავლელი და პროამერიკელი გახდა. პრინციპში, გახდა რა, ეხლა ეგრე სჭირდება, თორემ თქვენც იცით, ადამიანის გადაკეთება ეგეთი იოლი არ გახლავთ. ჰოდა, მე ნატო ძალო თავისი პოლიტიკურ-სოციალური მოსაზრებების გამო არ გამხსენებია, მაგას არც ერთი ესმის, არც მეორე და საერთოდ, რამე თუ ესმის, არ ვიცი. 13 მარტის ღამეს, სანამ შაბათი დასრულდებოდა და კვირა დაიწყებოდა, ძაან მაგარი ამბები დასიზმრებია. აგერ, ნახეთ, ნატო ძალომ თავადვე დაწერა და გამოაქვეყნა:

„ცხადსიზმარიანა...

წუხელ ნიკა მელია მესიზმრა. კარზე ზარი დაირეკა. გავაღე. ზღურბლზე ნიკა დგას.

- გამოვიქეცი ციხიდან, შენ უნდა დამმალო.

- კარგი, დაგმალავ. აქეთ წამოდი – ვეუბნები.

ბინის მეორე მხარეს გამყავს.

– შენ ამ ოთახში იყავი.

- რობოკოპები მომდევენ, უნდა შეაჩერო – მიბარებს ნიკა.

- კარგი – ვპირდები – რობოკოპები რომ მოვლენ, შენ მაშინვე ამ კარიდან გადი, მერე გვირაბს გაივლი, გვირაბი მდინარესთან გაგიყვანს, იქ ტივია, ტივი მდინარის მეორე მხარეს გადაგიყვანს, მეორე მხარეს ცხენი დაგხვდება, მოახტი იმ ცხენს და ჩახვალ პარიზში-მეთქი, დაწვრილებით ვუხსნი გაქცევის გეგმას.

თან ახლავე მტრედსაც ავაფრენ წერილით, რომ იქ დაგხვდნენ – ვაგულიანებ.

კარზე ისევ ზარია. ვაღებ. რობოკოპები დგანან.

- მელია აქ არის? – მეკითხებიან.

- არა – ვპასუხობ.

- უნდა გავჩხრიკოთ.

- ვერ გაჩხრიკავთ, დეპუტატი ვარ – ვამბობ მე.

- როდისღა ხარ დეპუტატი?

- ვარ, როგორ არა ვარ – დაბეჯითებით ვპასუხობ.

- რა, ხელფასს იღებ?

- არა, აცდენ სხდომებსო და არ რიცხავენ.

- სადეპუტატო დაზღვევა გაქვს?

- არა, სხდომებს აცდენო და დაზღვევაც მოხსნეს.

- კაბინეტი? მანქანა?

- არა, არა.

- აბა არ ყოფილხარ დეპუტატი.

- როგორ არ ვარ. ვარ – პირველნათქვამს არ გადავდივარ.

- რანაირად ხარ? განცხადება ხომ თვითონ დაწერე, აღარ ვარო? ხომ თვითონ დაწერე? – უკანდასახევ გზას მიჭრიან რობოკოპები.

- დავწერე, დიახ, დავწერე – ვუდასტურებ მე, – მაგრამ სიაში ვარ, დეპუტატების სიაში ისევ ვარ, არ მშლიან იმ სიიდან... აი, ასე, ვარ მე დეპუტატი და ვერ გაჩხრიკავთ.

- უკვე აშკარად შეუვალად ვამბობ და ამ ხუთი თვის განმავლობაში პირველად მიხარია, რომ დეპუტატის მანდატი ისევ მაქვს.

კეისრის სიმარჯვეს ვიჩენ, თან ვედებატები რობოკოპებს, დროს ვიგებ, რომ ნიკა მელიამ გვირაბ-ტივ-ცხენს მიაღწიოს და თან მტრედს ვაგზავნი პარიზისკენ ფეხზე წერილშებმულს...

ჩემთან მოდებატე რობოკოპები ერთს კი შეავლებენ თვალს აფრენილ მტრედს, მაგრამ არც არაფერი, გარეთ ხომ 21-ე საუკუნეა და მიფრინავს მტრედი თავისთვის სადღაც, რა არის აქ საჩხრეკიო, ფიქრობენ.

არადა, პარიზში მიფრინავს ჩემი მტრედი, ნიკა მელიას ცხენს დაახვედროს მეაბჯრენი. სიზმარია. ორი საუკუნე რა არის სიზმრისთვის. არც არაფერი... ფერადი იყო ის სიზმარი, აბაა, მრავალფეროვანი და თანაც ფერადი. ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს? იცის ვინმემ თქვენთაგანმა სიზმრის ახსნა?

ნიკას ხომ არ უღებენ ციხის კარებს ნეტავ? ბრიუსელიც იქვე არ არის, სულ ახლოს პარიზთან”?

ჩემო ძვირფასო მკითხველებო, ეხლა ამ სისულელის გარჩევას რომ მოვყვე, არ ღირს, ალბათ თვითონაც ხვდებით, როგორ არასერიოზულობასთან გვაქვს საქმე. ადრე (როცა პარლამენტში იჯდა) ამ ქალის ერთადერთი ღირსება ის გახლდათ, რომ ჩუმად იყო, ხმას საერთოდ არ იღებდა და ზოგს ეგონა, ძაან ჭკვიანი თუ არა, თავდაჭერილი მაინც არისო. ჰაიმეეე... აბა, ესა ყოფილა, აი!

რაღა დაგიმალოთ და... როგორც კი ამ სიზმრის შესახებ შეტყობინება წავიკითხე, ეგრევე მივმართე ქართულ საზოგადოებას, ვინმემ ჩხეიძეებში გადარეკეთ, ნატო ძალო როგორა-მეთქი? რავი, სიზმარში ნიკანორ მელია გამოსცხადებია,

სანამ უარესები უნახავს, ან გოგია წულაია, ან ირინე სარიშვილი, ან მეგი გოცირიძე, ან კაკო მინაშვილი, ან სხვა ამათნაირები, სანამ “კრაოტიდან” გადმოვარდნილა, “პოლზე” ბრაგვანი მოუდენია და კუდუსუნის ძვალი გაჰბზარვია, მიხედეთ, ხალხი არა ხართ-მეთქი?!

ხალხო, ვუყურებ ამ გიჟებსა და... პერიოდულად შიში მომეძალება ხოლმე... მერე, როცა შიში გადამივლის, პირჯვარს ვიწერ და ვბუტბუტებ: მადლობა, უფალო, ეს ქვეყანა ამათ ხელში რომ არ დატოვე.

დიიიიიიდი მადლობა!

**გელა ზედელაშვილი**

555 48 48 61

# „ბუკინგემის სასახლეში სუნთქვაც კი მიჭირდა...“

„ქარიშხალი ჭიქაში“ — ასეთი შეფასება მისცეს ბრიტანელმა პოლიტოლოგებმა პრინც ჰარისა და მისი მეუღლის მეგან მარკლის ორსაათიან ინტერვიუს, რომელიც გასულ კვირას გამოქვეყნდა. ჩანაწერის საჯაროდ გამოქვეყნებამდე, ცალკეული გამოცემები დიდ ბრიტანეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, აანონსებდნენ მოსალოდნელ სკანდალურად გულახდილ საუბარს პრინცთან და მის მეუღლესთან, რომლებიც ფარდას ხდიდნენ ბუკინგემის სასახლეში არსებულ ინტრიგებსა თუ სხვა „უმსგავსობებს“. ინტერვიუ მართლაც სკანდალური აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ სამეფო ოჯახის წევრებს საჯაროდ დღემდე არასოდეს გაულაშქრიათ თავიანთი ნათესავების წინააღმდეგ.



წინასწარ „სკანდალურ ბლოკბასტერად“ შეფასებული ჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ გაირკვა, რომ აშშ-ში ჯერ კიდევ თებერვალში იცოდნენ მისი არსებობის შესახებ და მოუთმენლად ელოდებოდნენ გასაჯაროებას. ინტერვიუ მეგანის მეგობარმა ჟურნალისტმა (შავკანიანმა) ჩაიწერა, რომელიც ჰარის და მეგანის ქორწილშიც იმყოფებოდა, სადაც ის პატივისცემით მიიღეს. ინტერვიუმ თავდაპირველად მსოფლიო საზოგადოება მართლაც დააინტერესა. წყვილმა საუბარში აქცენტი, ძირითადად, სამეფო ოჯახში არსებულ რასისტულ განწყობაზე გაამახვილა. მეგანის თქმით, ფეხმძიმობისას ბუკინგემის სასახლეში შიშობდნენ, რომ ბავშვი (არჩი) მუქკანიანი არ დაბადებულიყო. თუმცა არ დაუკონკრეტებია, კერძოდ, როდის და ვის აინტერესებდა მომავალი ბავშვის კანის ფერი. „ამის შესახებ ჰარიმ მითხრაო“, — განაცხადა მეგანმა. მისმა პასუხმა ჟურნალისტიც კი გააკვირვა.

დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში საზოგადოების აზრი ორად გაიყო — ნაწილი წყვილს უჭერს მხარს, ნაწილი კი არაეთიკურად მიიჩნევს მათ „გულახდილობას“. ბრიტანული პრესის ნაწილი ინტერვიუს „ინფორმაციულ ნაგვად“ მიიჩნევს. თუმცა აშშ-ის პოლიტიკოსების უმრავლესობამ წყვილს დაუჭირა მხარი, განსაკუთრებით დემოკრატებმა. ჰილარი კლინტონისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ბუკინგემის სასახლეში მეგანისადმი მსგავსი დამოკიდებულება. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მხარდაჭერა წყვილს თავისი ადმინისტრაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელის ჯენ ფსაკის სახელით გამოუცხადა. უცნაურია, მაგრამ აშშ-ში სამეფო ოჯახის ბოიკოტირებასაც კი მოითხოვენ. აშშ-ის მოსახლეობის ნაწილი მეგანის მხარეზეა, რადგან იგი აფროამერიკული წარმომავლობისაა.

პოლიტოლოგები, როგორც დიდ ბრიტანეთში, ასევე აშშ-ში, მეუღლეების ერთობლივ ინტერვიუს ისტერიულ გამოხტომად აფასებენ. ამერიკელი ჟურნალისტების თქმით, წყვილმა მოატყუა ამერიკის პოლიტიკური საზოგადოება, მათ შორის, ლიბერალები. „... რას ვიზამთ, სულელები ყველგან მოიძებნება, მათ შორის აშშ-ის ლიბერალ პოლიტიკოსებშიც“, — განაცხადა ამერიკელმა ჟურნალისტმა მაიკლ ვასიურამ.

ინტერვიუსადმი გულგრილი არც ფრანგული სკანდალური გამოცემა „შარლ ებდო“ დარჩა. გასულ კვირას ჟურნალში გამოქვეყნდა კარიკატურა, სადაც დედოფალი ელიზაბეთ II ყვითელ კაბაშია შემოსილი და მუხლს მეგანს ყელზე აბჯენს. ეს ინტერვიუს



ფრაგმენტის ილუსტრაციაა, სადაც, მეგანი ამბობს: „...ბუკინგემის სასახლეში სუნთქვაც კი მიჭირდა“. გამოცემამ გააშარჟა დედოფალიც და მისი რძალიც.

ბრიტანეთის მოსახლეობის უმრავლესობა სამეფო ოჯახს უჭერს მხარს. მათთვის მიუღებელია 1200-წლიანი ისტორიის მქონე სამეფო სახელმწიფოს აუგად მოხსენიება. დიდი ბრიტანეთის სამეფოს, მონარქს, ნაციონალური კულტურის, ტრადიციების ისტორიად მიიჩნევენ. ამიტომაც გამოიწვია ინტერვიუმ ბრიტანელთა შორის კულტურული შოკი. დედოფალ ელიზაბეთ II-ის მცდელობა, არ დაეთმოთ სკანდალისთვის გადამეტებული ყურადღება, უშედეგო აღმოჩნდა. თითქმის ყოველდღიური განსჯის საგანია ჰარისა და მეგანის ინტერვიუ. დედოფალმა თავისი ადმინისტრაციის მეშვეობით გააკეთა კომენტარი. დედოფლის განცხადებით, ჰარი, მეგანი და არჩი კვლავ რჩებიან სამეფო ოჯახის საყვარელ შვილებად. ოფიციალური განცხადება ერთია, მაგრამ ფაქტები სხვას ამბობენ. გასულ კვირას დედოფალი ელიზაბეთ II მეცნიერებს საჯაროდ შეხვდა. მათ ბევრი ისაუბრეს, გაიხსენეს პლანეტის პირველი კოსმონავტი იური გაგარინიც, მაგრამ ჰარი და მეგანი ერთხელაც არ უხსენებიათ. ბრიტანეთში ცოლ-ქმრის რეიტინგი, იმიჯი კატასტროფულად დაეცა.

წყვილმა სამეფო ოჯახის რასიზმში დადანაშაულებით პოლოტოლოგების გაოცება გამოიწვია. მათივე შეფასებით, ბრალდება „ყურით მოთრეულია“. მართალია, დიდ ბრიტანეთს ჰქონდა კოლონიები, მაგრამ, აშშ-ისგან განსხვავებით, მონათმფლობელური წყობილება იმპერიაში არ ჰქონიათ. ექსპერტების თქმით, ამერიკელებს სურთ თავიანთი პრობლემების ბრიტანეთში გადატანა, არსებული მონარქიული სისტემის დაკნინება. თუ გამართლდება ექსპერტების მოსაზრება, შესაძლოა, ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ვითარება დაიძაბოს, რაც კარგს არაფერს მოუტანს სამყაროს.

უძღები შვილისა და რძლის ინტერვიუზე პრინც ჩარლზს კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა აშკარად გაღიზიანებულია. სამეფო ოჯახის სახელით თავის მართლება ჰარის უფროს ძმას, პრინც უილიამს მოუხდა. „...ჩვენი ოჯახი სულაც არ არის რასისტული“, — განუცხადა მან ჟურნალისტებს. მისივე თქმით, დედოფალი აპირებს ტელეფონით ესაუბროს შვილიშვილს, მასთან შერიგებასაც აპირებს. სამაგიეროდ, ჰარისთან, განსაკუთრებით მეგანთან შერიგებას არც ფიქრობენ ბრიტანელი ჟურნალისტები. საერთოდაც, მეგანი ბრიტანელებისთვის უცხოა, იგი წარმოშობით ამერიკელია და მისი კანის ფერი არაფერ შუაშია. საინტერსსოა, რომ შვილის საქციელი საჯაროდ გააკრიტიკა მეგანის მამამაც. თუმცა აშშ-ში ჰარის და მეგანის გამტყუნება და სამეფო ოჯახის გამოქომაგება სახიფათოა. ტელეჟურნალისტმა კრის



მორგანმა სცადა სამეფო ოჯახის პრესტიჟის დაცვა, მაგრამ იგი ეთერში ყოფნის დროსვე გაათავისუფლეს სამსახურიდან.

ანალიტიკოსები მსჯელობენ, რას ემსახურებოდა სკანდალური ინტერვიუ. ყურადღებას ამახვილებენ მეგანის საუბრის ტონზე, რომელიც სამეფო ოჯახს უდიერად „ფირმად“ მოიხსენიებდა. ჟურნალისტების თქმით, მეგანს უნდოდა, ბუკინგემის სასახლეში თავისი წესები დაემყარებინა, არაფრად აგდებდა საუკუნეობრივ ტრადიციებს. საკუთარი გავლენის ქვეშ მხოლოდ მეუღლის მოქცევა შეძლო. გარვცელებული ინფორმაციით, მეგანის უკან დიდი პოლიტიკური (რომელი — უცნობია) ძალა დგას. მას თავადაც სურს ასეთი გზით პოლიტიკაში წასვლა. თუმცა რეალური გახლავთ ის ფაქტი, რომ აღნიშნული ორსაათიანი ინტერვიუ ორმა ტელეარხმა 8 მილიონ დოლარად შეიძინა. სავარაუდოდ, სკანდალი ჯერ არ ამოწურულა და კიდევ დიდხანს გაგრძელდება. როგორც ჩანს, დიდი ბრიტანეთის სამეფოში ყველაფერი რიგზე არ არის.

რეალურად ვინ მართავს დღეს აშშ-ს? — ერთმანეთს ეკითხებიან ამერიკელი პოლიტოლოგები. უცნაური ფაქტია, რომ პრეზიდენტი ჯო ბაიდენი უკვე ორი თვეა თეთრ სახლშია, მაგრამ ბრიფინგი ჯერ არ ჩაუტარებია. ტელევიზიითაც, წინამორბედისგან განსხვავებით, იშვიათად გამოდის. ამერიკული პრესის ინფორმაციით, საკვანძო საკითხების, მათ შორის, საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილებებს ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი იღებს. რატომ არ ჩანს აქტიურად ჯო ბაიდენი, აშშ-ში ბევრ პოლიტიკურ მიმომხილველსაც აინტერესებს.

დუმილი ჯო ბაიდენმა გასულ კვირას დაარღვია — პრეზიდენტის რანგში პირველად მიმართა მოსახლეობას — ჯო ბაიდენმა, ძირითადად, პანდემიასთან ბრძოლაზე ისაუბრა. მისი განცხადებით, მოსახლეობის საყოველთაო აცრა მაისის დასაწყისიდან დაიწყება. ბაიდენის თქმით, თუ ივლისამდე აიცრებ მოსახლეობა, დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას მთელი ქვეყანა შეძლებს.

გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ შარშან დაკავებისას გარდაცვლილი ვინმე კრიმინალის ჯორჯ ფლოიდის ოჯახს კომპენსაციის სახით 27 მილიონ დოლარს გადაუხდიან. ეს ის პიროვნებაა, რომლის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო არეულობები აშშ-ში, გაძლიერდა მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“. ფლოიდის სიკვდილში პოლიციელებს ადანაშაულებენ, მაგრამ ექსპერტების დასკვნით, პიროვნება ნარკოტიკების ჭარბი დოზირებით გარდაიცვალა. პოლიციელების სასამართლო პროცესი უახლოეს დღეებში დაიწყება. საინტერესოა ერთი გარემოება — 6 იანვარს კაპიტოლიუმის შენობაში ე.წ. შტურმის დროს შავკანიანმა პოლიციელმა პირდაპირი გასროლით მოკლა თეთრკანიანი სრულიად უიარაღო ქალი, რომელიც სამხედრო მოსამსახურე ეშლი ბეიზი აღმოჩნდა,. იგი 4 წლის განმავლობაში სხვადასხვა ცხელ წერტილებში იბრძოდა. ფაქტობრივად, გმირი ქალის მკვლელობაზე ხმა დღემდე არავის ამოუღია...

ბელგიის ქალაქი ლიეჟი გასულ კვირას ცეცხლის ალში გაეხვია. მიზეზი შავკანიანი ქალის დაკავება გახდა, რომელიც ამბოხებისკენ მოუწოდებდა მიგრანტებს. „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანიას“ აქტივისტებს არ მოეწონათ დაკავების მეთოდი. ქალაქის მოსახლეობა აღშფოთებულია. მათი განცხადებით, ლიეჟი აფრიკელების და რადიკალი მუსლიმების თავშესაფარი გახდა, რასაც აღარ დაუშვებენ. აქ საყურადღებო ის გახლავთ, რომ აღნიშნულმა მოძრაობამ უკვე ევროპაში გადმოინაცვლა.

ევროპარლამენტმა გასულ კვირას დეპუტატის იმუნიტეტი მოუხსნა კარლეს პუჩდემონს და მის ორ თანამებრძოლს. შეგახსენებთ, პუჩდემონი კატალონიის ესპანეთისგან გამოყოფის ინიციატივით გამოდიოდა. 2017 წელს, როცა ის რეგიონს ხელმძღვანელობდა, რეფერენდუმიც ჩაატარეს კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ამის გამო პუჩდემონის 9 თანამებრძოლი უკვე გასამართლებულია და სასჯელს იხდის. პუჩდემონი ბელგიაში იმყოფება. ახლა, ევროდეპუტატობის სტატუსის დაკარგვის შემდეგ, ესპანეთი ხელისუფლება მოითხოვს მის ექსტრადირებას.

როგორც ვხედავთ, მსოფლიოში არსებული დღევანდელი პოლიტიკური ვითარება მარტის თვეს დაემსგავსა — როგორი ამინდი იქნება დღეს-ხვალ, ამოუცნობია.



**გია ბურდული**
551 71 27 07

# შოთა აკობიას უკანასკნელი დღეები ტყვეობაში

## ნაწყვეტი სერგი საჯაიას ახალი წიგნიდან „საფიხვნო ინგირცმელედან მეამბოხე საფლავთა სახელით“



1996 წელს, სექტემბრის ერთ დაღვრემილ დღეს, ქ. სოხუმში გარდაიცვალა საყოველთაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დიდებული ქართველი პოეტი, ბრძენი შემოქმედი, წინგახედული მოაზროვნე, აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში) ქართული ლიტერატურული სკოლის მაღალ და ანგარიშგასაწევ სიმაღლეზე ამყვანი, რაც მთავარია, დიდი ილიასა და დიდოსტატ კონსტანტინეს ბეჯითი მოსწავლე, ზვიად გამსახურდიას ერთგული ამომრჩეველი, ავდროებისგან გაუბედურებული და მძიმე ავადმყოფობისგან გამოხრული შოთა სოფრომის ძე აკობია.

მოგეხსენებათ, ეს ის „ჟამი უნდობარი“ გახლდათ, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) პოლიტიკურად მოთარეშე „**Абхазец**“-ური დიდმპყრობლობა და მისი საოკუპაციო რეჟიმი, რომელიც სინამდვილეში ველიკოდერჟავული კრემლის რიგით ხელისბიჭად იქცა, კრემლის პროპაგანდისტული სამსახურის მიერ გონებადაბინდული „სათაფლისთვეო“ ალღუმს იღებდა.



სამწუხაროდ, ამ საყოველთაო სიბეცესა და გამოთაყვანებაში აღმოჩნდნენ აფსუათა შორის მოსახლიკაცე ადამიანებიც, რომელთაც, აგრესორ-სეპარატისტთა აღმგველობის მიუხედავად, გულთან მიიტანეს ეს უბედურება და ბატონი შოთას ქვრივს, ქალბატონ ნელი ლეფსაიას შესთავაზეს სოხუმის პანთეონში მისი საპატიოდ დაკრძალვა.

ჩემი აზრით, დიდი მოღვაწის ლასკარმა, საახლობლომ, ჭირისუფალმა ამასთან დაკავშირებით მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, იგი ზუგდიდში გადმოასვენეს. მით უმეტეს, რომ სახელგანთქმულმა პოეტმა მისთვის მშობლიური სოხუმი, მიუხედავად აგრესორ-სეპარატისტთა თარეშისა თუ მათი ძნელად ასატანი დიდმპყრობლური გამოხდომებისა, კიდევ მეტი – დამაკნინებელი შემოთავხედებისა, სოხუმი 1993 წლის სექტემბრის შემდეგაც კი, მას არა და არ მიუტოვებია. იმდენად სისხლხორცეული იყო იგი მისთვის, რომ თავის უსაყვარლეს შვილებთან და შვილიშვილებთან დევნილობაში ყოფნას, სოხუმში დარჩენა არჩია, რათა, მეუღლესთან ერთად ბოლო დღეები თავისი შემოქმედების ნაფეხურთა თვალშევლება შეძლებოდა.

შედარებისთვის შეგახსენებთ, მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ტრაპიზონიდან (მეგრელთა სოფლიდან – სულხან-საბა ორბელიანი) ქუთაისში გადმოასვენეს იმერეთის სახელოვანი მეფის – სოლომონ მეორის ნეშტი. ესეც შეცდომა გახლდათ, რადგან მეფე სოლომონი ქართულ მიწაზე განისვენებდა. მერე რა, რომ ის დღეს თურქეთის იმპერიაში მოექცა, მოვა დრო, აღსდგება იქ ქართული შინაარსი, ხოლო მანამდე ამ ძალისხმევის წამგაუცდენლობას ის საფლავი სწორედ იქ უნდა მიგებებოდა სრულიად საქართველოს ნიშანსვეტად.

ასევეა აწგანსვენებული შოთას მიმართებითაც: მისი საყოველთაოდ ცნობილი მამულიშვილობა საჭირო იყო დროებით ოკუპირებული სოხუმის გამშინაარსებლად (აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებას არ ეპატიება, რომ დღემდე გამოუქვეყნებელია 1989–96 წლებში მის მიერ სოხუმის მოვლენებზე დაწერილი ფასდაუდებელი ამბები, მოგონებები და პოეზია...).

ახლა კიდევ ერთი: პოეტ შოთა აკობიას გაპატიოსნებამ რაღაცა დროით გულწრფელად მიიღო სახლიკაცობის ხასიათი.

აქ არ ვსაუბრობ შემწეობასა თუ ქელეხზე.

რაღა დაგიმალოთ და მანამდე იყო მისი დახვრეტის მცდელობა, როცა სახლში მიუვარდნენ გონებადახშული თოფოსნები და სასოწარკვეთილი მეუღლის თვალწინ შუბლზე მიადეს ავტომატის ლულა. მაშინ მტრის ლულაზე მისმა ვაჟკაცურმა ხელის აკვრამ თვით ამ უგნურებზეც მოახდინა შთაბეჭდილება და ისინი უსიტყვოდ გავიდნენ, მაგრამ ამ ძალადობას ხომ უნდოდა გაძლება და გადატანა?!.

•

ამ თავდასხმის შემდეგ, „გამარჯვებულ“ აგრესორ-სეპარატისტთა თავკაცებმა პირადად აღუთქვეს „უსაფრთხოება“ ბატონ შოთას, თან განუმარტეს, თუ გინდათ, თქვენს ისტორიულ სამშობლოში – სამეგრელოში გაგამგზავრებთო.

- მე ჩემს ისტორიულ სამშობლოში, ჩრდილო-დასვლეთ სამეგრელოში ვიმყოფებიო, ვრცელი და ხაზგამული განმარტებით უპასუხნია ავთვისებიანი სიმსივნის მეოთხე სტადიით ძალაგამოცლილ ერის ჭირისუფალს, საზოგადო მოღვაწესა და ცნობილ მწერალს.

იმავე დღეებში, ახლა უკვე ეთნოკრატი „მეცნიერები“ სწვევიან და მისთვის სასაცდურო გასამრჯელოს ფასად, „მეგრული დამწერლობის“ შექმნა შეუთავაზებიათ.

არამკითხე სტუმრები ამჯერადაც გაუწბილებია აწგანსვენებულს: – თქვენ, ეტყობა, დაგავიწყდათ, რომ მეგრელებმა, დანარჩენ საქართველოსთან ერთად, კინაღამ სამი ათასი წლის წინ შეიქმნეს ასომთავრული, ნუსხური და მხედრული ანბანი. ის კი არადა, მეოთხეც შემოგვიჭერქვეშეს ჩვენმა ჭკვიანმა ქალბატონებმა აჭარიდან, – დედაბრული ჰქვია მას და რა აუცილებელია, რუსული შრიფტის საფუძველზე „მეგრული“ დამწერლობის შექმნაო!..

ამის შემდეგ ეთნოდივერსანტებმა „მეგრელი“ სულგაყიდულები „მიუკეთილნათესავეს“ მას, აი, ისინი, შემდგომში ე.წ. გაზეთი „**Гал**“ რომ გამოსცეს: დაანებეთ ამ საქმეს თავი, საუკუნოდ დაიწყევლით არა მარტო თავს, მთელი სამეგრელო შერისხავს თქვენს მოდგმასო!.. კვლავ გაჯიუტდა ბალიშზე თავმიდებული სნეული მოღვაწე, თურმე.

როდესაც სულნათელი შოთა აკობია, პირადი და სამშობლოს ბე-დით გულშეძრული, ზეციურ საქართველოს მიებარა, ჯერ კიდევ ქართველთა სისხლში მობანავე ვლადისლავ არძინბამ ასე განკარგა: თუ მისი მეუღლე ისურვებს, აქ, სოხუმის პანთეონში დაასაფლავეთ, არადა, დავეხმაროთ, თავის ისტორიულ სამშობლოში გადაასვენონო!..

სამწუხაროდ, ვლადისლავ გრიგორევიჩის ასეთი ეთნოდივერსიული ტერმინები დღემდე სამუშაო მიზანმიმართულობის ნიშანსვეტია ქართულ საზოგადოებაშიც!

სამგლოვიარო გზამ სოხუმიდან ენგურის ხიდის შუაწელამდე მართლაც მიიღო სახალხო გლოვის ხასიათი, ხოლო ცხედართან მჯდარი აწგანსვენებულის მეუღლე, ქალბატონი ნელი, აფსუა უხუცესმა – ქალბატონებმა თამარ კვიწინიამ და კლარა (გვარს ვერ ვიხსენებ) მარტო არ დატოვეს და სამგლოვიაროდ გამოწყობილები თან ახლდნენ. სოხუმიდან ცხედრის ენგურის ხიდის შუანაწილამდე გამომცილებლებმა, ამ ქალბატონების წინამძღოლობით ჩვენებური სამძიმარი უთხრეს დამხდურ ჭირისუფლებს. მათგან ქალბატონი კლარა ზუგდიდში დარჩა დაკრძალვამდე და ჭირისუფალი ნელი მარტო არ მიუტოვებია.

სწორედ ასეთი ურთიერთობაა სახვალიოდ დასანიშანსვეტებელი, რომლის მტკიცე კვარცხლბეკი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედანი ვინაობა უნდა გახდეს და არა გაყალბებული განმარტება აფხაზეთის „სხვა ქვეყნობის“ შესახებ.

მძიმეა რუსიზმის შედეგები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ის კიდევ უფრო მძიმე იქნება იმ თაობისთვის, რომელიც ქართველთა გონითი განფენის სივრცეს შეხედავს არა ამბროსი ხელაიას თვალებით, არამედ იმ წინგაუხედავის მზერით, რომლისთვისაც ტრაპიზონი მეგრელთა სოფელი, ანუ საქართველო არაა და იქიდან სასწრაფო წესით უპირველეს საქმედ იხდის საქართველოსთვის დამაშვრალი მეფის გადმოსვენებას.

დიდ ადამიანთა საფლავებს ერის მარადიულმყოფი მოვალეობა უპიროვნდებათ!..

წუთჩაფიქრება: წლების შემდეგ ქალბატონმა ნელიმ, პატივცემული შოთას მეუღლემ, ერთ ჩვეულებრივ დილას, ღამით ნანახი სიზმარი გაუმხილა შვილებს, – ვითომ შოთა და ალექსი (ალექსი ჯონუა, აფსუა პოეტი, ბატონ შოთას კბილა და უახლოესი მეგობარი) მესტუმრნენ, აქეთ-იქედან ხელკავი გამომდეს და წამიყვანესო...

იცინეს, იხუმრეს და... თხუთმეტ წუთში მხცოვანი ქალი ცუდად გახდა, ამის თქმაღა მოასწრო, – მოდი და სიზმარს ნუ დაუჯერებო!..

**სერგი საჯაია**



# ილონ მასკი – მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი

ილონ მასკი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი გახდა, მისმა ქონებამ 185 მლრდ დოლარს გადააჭარბა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სულ ცოტა ხნის წინათ მისი საავტომობილო კომპანია Tesla-ს აქციების ღირებულება კვლავ გაიზარდა.

განსაკუთრებით მაღალია მისი ელექტრომობილების მწარმოებელი კომპანიის თესლა-ს მაჩვენებლები. 2020 წელს მისი აქციები 700 პროცენტით გაძვირდა, კაპიტალიზაციამ კი 600 მლრდ დოლარს გადააჭარბა. ამ ფულით შეიძლება ისეთი საავტომობილო კომპანიების ყიდვა, როგორიცაა Ford-ი, General Motors-ი, Volkswagen-ი, Fiat Chrysler-ი და Ferari-ს შესაძენადაც დარჩება თანხა.

მას უნდა მოახდინოს რევოლუცია საავტომობილო ინდუსტრიაში, ადამიანებით დაასახლოს მარსი, ააგოს სუპერჩქაროსნული მატარებლები, რომლებიც ვაკუუმის გვირაბებით გადაადგილდებიან, მოახდინოს ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება ადამიანის ტვინთან და მზის ენერგიისა და ბატარეების წარმოების ინდუსტრია თავდაყირა დააყენოს.

2020 წელს მასკის კოსმოსურმა ხომალდებმა Crew Dragon-მა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე ექვსი ასტრონავტი ჩაიყვანა.

ილონ მასკი პოპულარული გახდა თავისი კომპანიების PayPal-ისა და Tesla-ს წყალობით, მაგრამ მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი.

გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს ილონ მასკის ცხოვრებიდან.






## ილონ მასკმა ბავშვობა სამხრეთ აფრიკაში გაატარა

ილონ რივ მასკი 1971 წლის 28 ივნისს დაიბადა პრეტორიაში, სამხრეთაფრიკელი ინჟინრისა და კანადელი მწერლისა და დიეტოლოგის ოჯახში.

ბავშვობაში მას ხშირად დასცინოდნენ და აწვალებდნენ. ერთხელ საავადმყოფოშიც კი მოხვდა, რადგან კიბეებიდან დააგორეს.

ბავშვობაში მასკს ექსპერიმენტების ჩატარება იზიდავდა. გარდა კითხვისა, ის ძალიან ადრე გაიტაცა პროგრამირებამ და პირველი კომპიუტერული თამაშიც შექმნა. როგორც იმ დროის ბევრი ბავშვი, ისიც ამზადებდა რაკეტის პატარა მოდელებს აზოტის მჟავის გამოყენებით.

## მასკი ამერიკაში გადასახლდა, რათა არმიიდან დაეძვრინა თავი

სამხრეთაფრიკული აპარტეიდის რეჟიმის დროს სამხედრო სამსახურიდან რომ დაეღწია თავი, თავის უმცროს ძმასთან, კიმბალთან ერთად 15 წლის ასაკში კანადის საელჩოში შეიტანა განცხადება პასპორტის მისაღებად. პასპორტები ძმებმა დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მიიღეს და ქვეყნიდან გაემგზავრნენ.

თავიდან მასკმა კინგსტონის კუინსის ინსტიტუტში ჩააბარა, მერე კი აშშ-ში გადავიდა, სადაც ფილადელფიის შტატის პენსილვანიის უნივერსიტეტში მიიღო ეკონომიკისა და ფიზიკის ბაკალავრის ხარისხი.

## მასკმა სწავლა მიატოვა, რათა თავისი პირველი კომპანია დაეარსებინა

1995 წელს მასკი პირველად მოხვდა სილიციუმის ველზე. კალიფორნიის შტატის პალო-ალტოს ელიტურ სტენდფორდის უნივერსიტეტში ფიზიკის შესასწავლად აბარებს გამოცდებს, მაგრამ მისი გეგმები წარაფად იცვლება, ორი დღის შემდეგ სწავლას თავს ანებებს და ძმასთან ერთად თავის პირველ კომპანიას აარსებს.

ეს იყო კომპანია **Zip2**, რომლის იდეაც დღეისთვის ძალიან უბრალოა, მაშინ კი რევოლუციური იყო.

ილონს და კიმბალს უნდოდათ, შეექმნათ კომპანიების კატალოგი, რომელიც შესაბამის საწარმოს რუკაზე აჩვენებდა. და, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ინტერნეტი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი არ იყო, და კლიენტებისა და ფირმების უმეტესობისთვის გაუგებარი იყო **Zip2**-ის მიზანი, მასკების კომპანია წარმატების ისტორიის სერიოზული დასაწყისი გახდა.

## ილონ მასკი მილიონერი 28 წლის ასაკში გახდა

1999 წელს კომპიუტერების მწარმოებელმა **Compaq**-მა **Zip2** კოლოსალურ ფასად — 307 მილიონ დოლარად შეიძინა. ეს დღეისათვის ყველაზე დიდი თანხაა, რომელიც ოდესმე გადაუხდიათ ინტერნეტ-კომპანიისთვის. ილონ მასკმა თავისი აქციების საფასურად 22 მილიონი დოლარი მიიღო და მულტიმილიონერი სრულიად ახალგაზრდა — 28 წლის ასაკში გახდა.

## მასკის ძირითადი კომპანიებია PAYPAL-ი და TESLA

იმ ადამიანებისგან განსხვავებით, რომლებიც მთელ ფულს დაახლოებით ორი თვის განმავლობაში ჰავაის კუნძულებზე დასვენებისას დახარჯავდნენ, მასკი ასე არ მოქცეულა. მან სხვა კომპანიები დააარსა, რომლებიც Zip2-ზე უფრო მეტად წარმატებულები გახდნენ. იმავე 1999 წელს მან შეხმნა ელექტრონული გადახდების სისტემა **X.com.** ერთი წლის შემდეგ კი, როცა ის თავის პირდაპირ კონკურენტს **Confinity**-ს შეუერთდა, გაჩნდა ახალი კომპანია **PayPal**-ი. მომდევნო წლებში ის იქცა ელექტრონული გადახდების მსოფლიოში უმსხვილეს სისტემად და კვალაც ითვლება ილონ მასკის ერთ-ერთ უდიდეს წარმატებად.

არანაკლებ რევოლუციური იყო იდეა, რომელიც კომპანია **SpaceX**-ს უკავშირდება — ადამიანების მარსზე გადასახლება. როდესაც მასკი **SpaseX**-ს ქმნიდა, მასკს უნდოდა შეექმნა იმდენად იაფი კოსმიური ტრანსპორტი, რომ ადამიანებს კოსმოსში მოგზაურობის საშუალებას მისცემოდა. კომპანია, რომელიც ამ ბოლო პერიოდში ყველას ყურადღების ცენტრშია მოქცეული, ეს **Tesla**-ა — ელექტრომობილების მწარმოებელი კომპანია, რომელშიც მასკს გენერალური დირექტორისა და მთავარი კონსტრუქტორის პოსტი უკავია.

## ილონ მასკი ხუთი შვილის მამაა

ილონ მასკი ცდილობს, რომ პირადი ცხოვრება საზოგადოებისთვის დაფარული იყოს. მან ამ მიზეზით **Instagram**-იც კი გამორთო. მაგრამ ერთი რამის თქმა ნამდვილად შეიძლება: არამარტო ილონ მასკის კარიერაა უცნაური, მისი პირადი ცხოვრებაც შორსაა საშუალო სტატისტიკური ადამიანის ცხოვრებისგან.

მასკი დაქორწინებული იყო მწერალ ჟუსტინა უილსონზე, რომელთანაც შეეძინა 5 ვაჟი — სამი ტყუპი და ორი ტყუპი!

2010 წელს ილონი მსახიობ ტალულა რაილიზე დაქორწინდა და მალევე დაშორდა, 2013 წლის ზაფხულში კი კვლავ იქორწინეს, თუმცა 2014 წლის ბოლოს განქორწინება დააპირეს, მერე კი განცხადება კვლავ გაიტანეს. 2016 წელს განქორწინება რაილიმ მოითხოვა და ამჯერად საბოლოოდ. დღეისათვის მასკი ლოს-ანჟელესის ერთ-ერთ პრესტიჟულ რაიონში ბელ-ეირზე ცხოვრობს.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

**ძვირფასო მეგობრებო!**

„საერთო გაზეთის“ რედაქცია დიდ მადლობას გიხდით ფინანსური მხარდაჭერისთვის და აქვე გთავაზობთ იმ ადამიანების სიას, რომლებიც ამ რთულ პერიოდში რედაქციას გვერდით დაუდგნენ:

ენვერ ენდელაძე, გიორგი ბერიძე, თეა კვარაცხელია, შორენა ბერიშვილი, თამაზ გელაშვილი, ალეკო ხარჩილავა, ციური მჭედლიშვილი, ვანო ტიკარაძე, თამარ საშუშია, ჯიმი ზარანდია, გივი დაბრუნდაშვილი, დავით ჯალიშვილი, გვანცა ბერძენიშვილი, ნათელა მიქავა, მაგდა გველესიანი, ლეო ბოჭორიშვილი, ნანა თოლუა, მარიამ გიგაური.

„საერთო გაზეთი“ გააგრძელებს იმ ადამიანების სიის გამოქვეყნებას, რომლებიც თავიანთი თუნდაც მცირე შესაწირით, თანადგომას გამოუცხადებენ რედაქციას.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა და წარმატებები თქვენ, ძვირფასო მეგობრებო!

„საერთო გაზეთი“



„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი

ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1